დიმიტრი უზნაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პროფესიათა ფსიქოლოგიის აქტუალური ამოცანებისა და თეორიული საფუძვლებისათვის

დიმიტრი უზნაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პროფესიათა ფსიქოლოგიის აქტუალური ამოცანებისა და თეორიული საფუძვლებისათვის

თბილისი 2007

159.9:331.54
ეროვნული
ბიბლიოთეკა

თარგმანი რუსულიდან
პროფესორი გივი ქირია

გამომცემელი დ. შიშნიაშვილი

© დიმიტრი შიშნიაშვილი
საავტორო უფლება დაცულია საქართველოს
კანონმდებლობით

F110.210

გამომცემლობა "ცის ნამი"

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

წინასიტყვაობა

დ. უზნაძის ნაშრომი „პროფესიათა ფსიქოლოგიის აქტუალური ამოცანებისა და თეორიული საფუძვლებისათვის" პირველად 1933 წელს გამოქვეყნდა რუსულ ენაზე. ამჟამად მკითხველს ვთავაზობთ მის ხელმეორე გამოქვეყნებას ქართულ თარგმანთან ერთად.

საზოგადოების ინტერესი უზნაძის შედარებით მცირე მოცულობისა (სულ 44 გვ.) და ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ქცეული ამ ნაშრომისადმი განაპირობა არა მხოლოდ უდავო პატივისცემამ ავტორის მეცნიერული მემკვიდრეობისადმი, არამედ მასში განხილული საკითხების აქტუალობამაც.

ნიშანდობლივია, რომ პროფესიის ფსიქოლოგიის პრაქტიკული საკითხების, კერძოდ, ადამიანის პროფესიული საქმიანობისადმი შესაბამისობის დადგენა, არა მხოლოდ 30-იან წლებში, როცა ეს ნაშრომი დაიწერა, არამედ დღესაც, ძირითადად ხორციელდება ე.წ. „გამოცდილი ადამიანის ჯანსაღი აზრისა" და არა შესამოწმებელი ინდივიდის მეცნიერული შესწავლის საფუძველზე. ფაქტობრივად, მეორდება ფსიქოტექნიკის საყოველთაოდ ცნობილი შეცდომები, რომელთა მეთოდოლოგიური პრინციპების უზნაძისეული შეფასება დღესაც უდავოდ აქტუალურია.

დ. უზნაძის აზრით, ტრადიციული შრომის ფსიქოლოგია ეფუძნებოდა შრომის სუბიექტის ფსიქიკის შემცდარ გაგებას, კერძოდ მის ცალკეულ ფსიქოფიზიკურ ფუნქციათა, უნარ-შესაძლებლობათა ერთობლიობის, ჯამის სახით გაგებას. ასეთ „ფსიქოფიზიკურ ატომიზმზე" იყო დაფუძნებული ტრადიციული პროფდიაგნოსტიკური მუშაობა, ერთი მხრივ, და პროფვარგისიანობის დადგენის კონცეფცია და მეთოდები, მეორე მხრივ. „მაშასადამე, – აღნიშნავდა დ. უზნაძე, – ტრადიციული ფსიქოტექნიკა ყურადღებას ამახვილებდა ცალკეული ფსიქიკური ფუნქციების გამოვლენაზე უპირველესად უშუალოდ პროფესიულ საქმიანობაში, ხოლო შემდეგ პიროვნებაში, რომლის პროფვარგისიანობა დასადგენი იყო". მაშასადამე, მომუშავის პროფვარგისიანობის ტრადიციული გაგება, დ. უზნაძის აზრით, გულისხმობდა მოცემული პროფესიული საქმიანობის ანალიზის შედეგად გამოვლენილ ფსიქოფიზიკურ ფუნქციათა დადასტურებას შესამოწმებელ სუბიექტში. თუმცა შემდგომ ნათელი გახდა, რომ პროფესიისათვის დამახასიათებელი ფსიქოლოგიური მოთხოვნებისადმი სუბიექტის ფსიქოფიზიკურ ფუნქციათა შესატყვისობის დადგენა ჯერ კიდევ არ წარმოადგენს ადამიანის პროფვარგისიანობის გარანტს. ამიტომ პროფესიის ფსიქოლოგიური თავისებურებებისადმი ინდივიდის შესაბამისობის სერიოზულ შესწავლას დ. უზნაძე პროფესიის ფსიქოლოგიის გადაუდებელ ამოცანად მიიჩნევდა.

ტრადიციული პროფდიაგნოსტიკის კრიზისის დაძლევის აუცილებლობა მისმა დაბალმა პროგნოზულმა ღირებულებამ განაპირობა. პერსონალის შერჩევა

ტესტირების პროცედურების საშუალებით არ შეესატყვისებოდა რეალურ მდგომარეობას. შექმნილი მდგომარეობის დაძლევის თეორიულ საფუძვლად დ. უზნაძეს ადამიანის ფუნქციური დიაგნოსტიკის პრაქტიკიდან პიროვნების, როგორც ერთი მთლიანის დიაგნოსტირების პოზიციაზე გადასვლა, მიიჩნია. მისი აზრით ტესტირებას უნდა დაედგინა შრომის სუბიექტის, როგორც პიროვნების პროფესიული შესაძლებლობები. მართალია, ისევე როგორც 30-იან წლებში, ინდივიდუალური ნიშან-თვისებების პიროვნების ე.წ. საქმიანი მახასიათებლების შერჩევის პროცესში დადგენა. დღესაც ტესტირების საყურადღებო ასპექტად ითვლება, მაგრამ ეს თვისებები, მსგავსად სუბიექტის ფსიქოფიზიკური ფუნქციებისა, ფაქტიურად განიხილება როგორც ავტონომიური წარმონაქმნები უნარებისა და ფუნქციების გვერდით. ამიტომ მომუშავის პიროვნულ ნიშან-თვისებათა ამგვარი „ატომისტური" გაგება, უზნაძის ფსიქოლოგიური კონცეფციის მიხედვით, არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს პიროვნების პროფვარგისიანობის სანდო მაჩვენებლად.

ამიტომაც, მიუთითებდა რა ცალკეული ფსიქოფიზიკური ფუნქციების, პიროვნული თვისებების და ა.შ. უდავო მნიშვნელობაზე პროფვარგისიანობის პროგნოზირებაში, დ. უზნაძე თვლიდა, რომ გარდა აღნიშნული ფუნქციებისა და პროცესებისა, აუცილებელია ამ ფუნქციათა და თვისებათა საშუალებით შემოწმდეს თვით სუბიექტის შინაგანი მზაობა გარკვეული პროფესიული შრომითი ქცევის მიმართ. სუბიექტის შინაგანი მზაობა დ. უზნაძის შრომებში განიხილება როგორც გარკვეული შრომითი დავალების შესასრულებლად აუცილებელი ფსიქიკური ფუნქციებისა და უნარ-თვისებების ამოქმედების, მათი აქტივიზაციის ფსიქოლოგიური წინაპირობა. მაგრამ ქცევის განსაზღვრიელებლად აუცილებელ ფსიქოფიზიკურ ფუნქციათა ამოქმედება არ არის დეტერმინირებული უშუალოდ არც ამ ფუნქციებით და არც ობიექტურად მოცემული შრომითი დავალებით, რომელთა შესასრულებლადაც ეს ფუნქციებია მოწოდებული. ასეთ ფაქტორს, დ. უზნაძის მიხედვით, წარმოადგენს მომუშავე პერსონალის მთლიან-პიროვნული მოდიფიკაცია, რასაც დ. უზნაძე პროფესიულ განწყობას უწოდებს. ის წერს: „... პროფესიული საქმიანობის სიტუაცია, ზემოქმედებს რა გარკვეული შრომითი მზაობის მქონე სუბიექტზე, აღძრავს მასში გარკვეულ მიზანმიმართულ მოდიფიკაციას – განწყობას."

პროფესიული შრომის განწყობის დეტალური ანალიზის შედეგად დ. უზნაძემ ჩამოაყალიბა ამ განწყობის შემდეგი ძირითადი ნიშან-მახასიათებლები:

ა) განწყობა წარმოადგენს „...მოცემული შრომითი ქცევის პირობებში მომუშავის მთლიან-პიროვნული მდგომარეობის მახასიათებელს" და ასრულებს ამ ქცევის მაორგანიზებელ ფუნქციას.

ბ) რამდენადაც პროფესიული შრომა ყოველთვის მიმართულია კონკრეტული და სპეციფიკური ამოცანის გადასაწყვეტად, ბუნებრივია, რომ „...პროფესია,

როგორც შრომითი ოპერაციების გარკვეული სისტემა, ეფუძნება სრულიად გარკვეულ განწყობას".

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) ვინაიდან, პროფესიული შრომისათვის მნიშვნელოვანია ეფექტიანი თვისებებისა და ფსიქიკური ფუნქციების გააქტიურება, მათი მოცულობის შემთხვევაში განმსაზღვრელია განწყობით, ბუნებრივია, „ადამიანების პროფვარგისიანობის საფუძვლად ვიგულისხმოთ ადეკვატური განწყობა მოცემული პროფვარგისიანობისადმი".

დ) ყოველი პროფესიის სპეციფიკური თავისებურება, დ. უზნაძის თვალსაზრისით, რელიეფურად ვლინდება ამ პროფესიის დომინანტურ ანუ კრიტიკულ მომენტებში. ამიტომ პერსონალის პროფვარგისიანობა, ბუნებრივია, უნდა გამოვლინდეს პროფესიისათვის სპეციფიკური კრიტიკული მომენტების დაძლევის უნარიანობაში. პროფესიული განწყობის ფუნქცია, ამ შემთხვევაში, მდგომარეობს აღნიშნული კრიტიკული მომენტების დაძლევისათვის ადეკვატური ფსიქოფიზიკური ფუნქციების გააქტიურებაში.

როგორც ცნობილია, პროფესიის ფსიქოლოგია ჩამოყალიბდა როგორც ფსიქოლოგიის გამოყენებითი დარგი მიზანმიმართული კონკრეტული პრაქტიკული ამოცანების გადასაწყვეტად. მაგრამ მიუხედავად დარგის გამოყენებითი ორიენტაციისა სწორედ პრაქტიკული საკითხების წარმატებით გადაწყვეტისათვის, მთელი მისი ისტორიის მანძილზე, ყოველთვის იგრძნობოდა თეორიული ხასიათის გამოკვლევების დეფიციტი. ასე იყო 30-იან წლებში, ასეთივე მდგომარეობაა ამჟამადაც, როდესაც ხშირ შემთხვევაში პოპულარული და შეუმოწმებელი ფსიქოდიაგნოსტიკური ტესტების საშუალებით ხორციელდება პერსონალის პროფვარგისიანობის ფსევდომეცნიერული დადგენა. მეცნიერულად შეუმოწმებელი ტესტებისა და კითხვარების მოზღვავებამ და გამოყენებამ თავისუფლად შეიძლება დაგვაბრუნოს პროფესიის ფსიქოლოგიაში 30-იან წლებში დაშვებულ შეცდომებთან.

დ. უზნაძის წარმოდგენილ ნაშრომს, მიუხედავად მისი ხანდაზმულობისა, უდავოდ შეუძლია მნიშვნელოვანი დახმარების გაწევა ზემოთ აღნიშნული დეფიციტის დაძლევისა და, ამასთანავე, შესაძლო შეცდომების თავიდან აცილებაში ადამიანის პროფვარგისიანობის შეფასებისას.

შრომის ფსიქოლოგიის კათედრის გამგე:
პროფესორი გ. ქირია

პროფ. დ. უზნაძე
პროფესიათა ფსიქოლოგიის აქტუალური ამოცანებისა და თეორიული საფუძვლებისათვის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

I

პროფესიის ფსიქოლოგიური გამოკვლევის პრობლემა, როგორც ცნობილია, პირველად წამოაყენა არსონ-მა, პროფესიული კონსულტაციის საკითხების გადაწყვეტისას. უფრო ადრე კი ტეილორი, ხოლო შემდგომ განსაკუთრებით მიუნსტენბერგი, შრომის განსხვავებულ სფეროებში მუშახელის განაწილების აუცილებლობამ — ამავე პრობლემებამდე მიიყვანა.

ამგვარად, პროფესიოგრაფია, ჩამოყალიბების პირველი დღეებიდანვე ჩადგა პროფკონსულტაციისა და პროფშერჩევის ამოცანების გადაწყვეტის სამსახურში. ფსიქოტექნიკაში, პროფესიოგრაფია, გარკვეულწილად, ამჟამადაც ასრულებს ასეთსავე დაქვემდებარებულ ფუნქციას. თუმცა პროფესიოგრაფიის ფუნქციები ახლა შედარებით გაფართოვდა: ის ემსახურება არა მხოლოდ პროფკონსულტაციის, პროფორიენტაციისა და პროფშერჩევის ამოცანების გადაწყვეტას, არამედ, განსაკუთრებით საბჭოთა ფსიქოტექნიკოსების შრომებში — დაღლილობის, ვარჯიშისა და პროფსწავლების შესწავლის მიზნებს.[1] მაგრამ, ამ შემთხვევაშიც, პროფესიის შესწავლის პრინციპული საფუძველი უცვლელი რჩება: პროფესიების აღწერისა და ანალიზის დანიშნულება ის არის. რომ საბოლოოდ ოპტიმალურად შესაძლებელი გახდეს პროფესიული შრომის განსხვავებული სახეობების თავისებური მოთხოვნებისადმი ადამიანური ფაქტორის შეგუება. ამიტომ ძირითად ამოცანად რომლის გათვალისწინებითაც ჩვეულებრივ წარიმართება **პროფესიოგრაფირება**, უნდა ჩაითვალოს პროფშერჩევის მომსახურება: პროფესიების ანალიზის მიზანია შესაფერის მომუშავეთა შერჩევისათვის სანდო მეთოდის დასაფუძნებლად საჭირო ფსიქოფიზიკური სტრუქტურის გამოვლენა.

არსებული მდგომარეობის განხილვის შედეგად ნათელია, რომ ტრადიციული პროფესიოგრაფია ეფუძნება დოგმატურად მიღებულ და თეორიულად შეუმოწმებელ წანამძღვარს, რომლის მიხედვით პროფესიოგრაფიის მიზანია მომუშავეთა გარანტირებული შერჩევისათვის საჭირო

---

[1] პროფესიული შერჩევის ფსიქოტექნიკური სახელმძღვანელო. შპილრეინის რედაქციით. 1929. №10, №9

მეთოდის შემუშავება. ეს დაშვება გულისხმობს, რომ პროფესიული შრომის არსებული ფორმების ფსიქოლოგიური სტრუქტურა იმთავითვე კონსოლიდირებულია პიროვნების მრავალსახოვან ფსიქოლოგიურ სტრუქტურასთან მასთან სრულ შესატყვისობამდე. მაშასადამე, ამ მოსაზრებით, პროფესიები, ცხადია, არც საჭიროებენ შემდგომ რაციონალიზაციასა და სრულყოფას. მაგრამ ეს დაშვება მართებული იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ დამტკიცდებოდა, რომ ადამიანი-პიროვნება არის ცალკეულ ნიშან-თვისებათა შემთხვევითი ნაზავი და არა განსაზღვრული სტრუქტურული მთლიანობა. ასეთ შემთხვევაში პრინციპულად შესაძლებელი იქნებოდა ფსიქოლოგიური ნიშნების საშუალებით ნებისმიერ პროფესიულ სტრუქტურასთან ადეკვატური შესატყვისობის მქონე ინდივიდთა საჭირო რაოდენობის შერჩევა.

აღნიშნული მოსაზრება შეიძლება სწორად მიგვაჩნდეს იმ შემთხვევაშიც, თუ პროფესიათა ჩამოყალიბება ყოველთვის პიროვნების მთლიან სტრუქტურულ გარკვეულობასთან შესაბამისობით წარიმართებოდა.

პროფესიისა და პიროვნების სტრუქტურის თავდაპირველი შესატყვისობის დაშვება ეწინააღმდეგება როგორც მეცნიერული ქარაქტეროლოგიის მონაცემებს, რომელიც ადასტურებს პიროვნების მთლიან სტრუქტურულ გარკვეულობას, ასევე ყოველდღიური გამოცდილების შედეგებს.

ასევე არ არის ბოლომდე გარკვეული ზემოთ აღნიშნული მეორე ვარაუდის მართებულობაც. საქმე ისაა, რომ არსებული პროფესიები, როგორც წესი, ჩამოყალიბდა ადამიანურ ფაქტორთა სტრუქტურული თავისებურებების მიმართ მეტ-ნაკლებად მეცნიერული ინტერესების გათვალისწინების გარეშე. გადამწყვეტ და, შეიძლება ითქვას, განსაკუთრებულ როლს, პროფესიათა ჩამოყალიბებაში ადრეც და ამჟამადაც ასრულებს ეკონომიკური, განსაკუთრებით კი ტექნიკური მოსაზრებები. ამიტომ, თუ პროფესიის სტრუქტურა, ცალკეული სამუშაო პირობები, ტექნიკური თვალსაზრისით საკმაოდ დასაბუთებულია, სამაგიეროდ მათი სტრუქტურის ფსიქოლოგიური მხარე ძირითადად შემთხვევითი ხასიათისაა. ცხადია, ასეთ პირობებში პროფესიის თავდაპირველი ფსიქოლოგიური სტრუქტურა თეორიულად არ არის პიროვნების ფსიქოლოგიური სტრუქტურის ადეკვატური.

ამგვარად, უნდა ვაღიაროთ, რომ ძირითადი წანამძღვარი, რომელსაც მთელი ტრადიციული პროფესიოგრაფიული მუშაობა ეფუძნება, შეუმოწმებელ და საკმარის დასაბუთებას მოკლებულ ვარაუდს წარმოადგენს.

თუმცა, როგორც პროფშერჩევის პრაქტიკიდან ირკვევა, საქმის ფაქტობრივი მდგომარეობა არც თუ უიმედოა, რადგანაც ტრადიციულ პროფესიოგრამიულ მონაცემებზე დაფუძნებული ფსიქოლოგიური პროფშერჩევის წარმატებულობა ეჭვს არ იწვევს. უნდა ითქვას, რომ პროფესიული ვარგისიანობის შემოწმების მეთოდები მაინც ადამიანის რაციონალურ გადანაწილებას სამუშაოზე მათი ფსიქოფიზიკური თავისებურებების არჩეულ პროფეისათა თავისებურებებთა შესატყვისობის გათვალისწინებით. ამიტომ, უნდა ვალიაროთ, რომ პროფესიოგრამიის ძირითადი წანამძღვარი, მიუხედავად მისი თეორიული დაუსაბუთებლობისა, პრაქტიკულად მაინც გამართლებულია. ამდენად აუცილებელია ადამიანის როგორც პიროვნების ფსიქოლოგიურ სტრუქტურასა და პროფესიას შორის გარკვეული შესატყვისობის არსებობის ალიარება. წინააღმდეგ შემთხვევაში ფსიქოლოგიურ პროფშერჩევაში არსებული წარმატება ძნელად ასახსნელია.

უკვე აღვნიშნეთ, რომ ამგვარი შესატყვისობის არსებობა შეიძლება შემთხვევითი იყოს. გარდა ამისა, პროფესიის დადგენისას ადამიანის ფაქტორის თავისებურებები გარკვეულ დონეზე მაინც გათვალისწინებულია, რადგან ისინი შეესაბამებიან ტექნიკური მოთხოვნების თავისებურებებს და, ამასთან, ეფუძნებიან ადამიანის არა მეცნიერულ-ფსიქოლოგიურ შესწავლას, არამედ ჩვეულებრივ ცხოვრებისეულ გამოცდილებას. თავისთავად ცხადია, რომ ამ შემთხვევაში მსჯელობა შეიძლება ეხებოდეს მხოლოდ პროფესიის თავისებურებების პიროვნების სტრუქტურული მახასიათებლებისადმი ძალიან უხეშ მიმართებას. საბოლოოდ, გადამწყვეტი მნიშვნელობისაა მომუშავისა და პროფესიის თანდათანობითი ურთიერთშეგუების უდავო ფაქტი: პროფესია ეგუება მომუშავის ინდივიდუალურ თავისებურებებს და პირიქით, ხდება ამ უკანასკნელის შეგუება პროფესიის სტრუქტურული თავისებურებებისადმი. უდავოა, რომ ერთხელ ჩამოყალიბებული პროფესია დროის მანძილზე მეტ-ნაკლებად იცვლება: მომუშავის თავისებურებებისადმი. პროფესიის შეუსაბამობისას მომუშავეს შეაქვს გარკვეული ცვლილებები პროფესიაში და ამგვარად იგუებს მას. მეორე მხრივ, პირიქით, პროფესიაც, მომუშავის ფსიქოფიზიკურ ორგანიზმზე ხანგრძლივი ზემოქმედების შედეგად თანდათანობით ცვლის მის სტრუქტურას, მაშასადამე, ხდება მომუშავის დაახლოება პროფესიასთან.

ამგვარად, უნდა ვივარაუდოთ, რომ პროფესიის სტრუქტურულ თავისებურებებსა და ადამიანის პიროვნულ მთლიანობას შორის ფაქტიურად არსებული შესაბამისობა, რაც ჩვენ მიერ ზემოთ იყო დამტკიცებული,

სტიქიურად მიმდინარე პროცესია და არა გაცნობიერებული, მეცნიერულად დასაბუთებული ორგანიზაციული ჩარევის შედეგი.

ასეთია კაპიტალისტურ საზოგადოებაში პროფესიათა ჩამოყალიბების გარდაუვალი ხვედრი. ერთი მხრივ, გეგმის უქონლობა ეკონომიკაში, მეორე მხრივ, ამ საზოგადოების კერძომესაკუთრული ხასიათი გვიხსნის, თუ რატომ ხდება მომუშავის თავისებურებებისა და ინტერესების, ადამიანური ფაქტორების გაცნობიერებული, წინასწარგანზრახული გათვალისწინების აუცილებლობის იგნორირება.

სულ სხვაა ეკონომიკის სოციალისტური სისტემა, სადაც სამეურნეო ცხოვრება მუშათა კლასის ინტერესებზეა ორიენტირებული და გეგმიანობის პრინციპს ეფუძნება. ამიტომ გასაგებია, რომ სოციალისტური მშენებლობის პროცესში პროფესიათა ჩამოყალიბება პიროვნების ფსიქოფიზიკური შესაბამისობის გათვალისწინებით არ შეიძლება იყოს სტიქიურად მიმდინარე, თვითდინებადი მოვლენა. ის უნდა გახდეს წინასწარ დაგეგმილი, მეცნიერულად დასაბუთებული რაციონალური ღონისძიების პროდუქტი.

ცხადია, ამ არსებითი მნიშვნელობის მქონე ამოცანის გადაჭრაში გარკვეული წვლილი პროფესიოგრაფიასაც შეაქვს. პროფესიათა არსებული ფორმების შესწავლა პიროვნების ფსიქოფიზიკური თავისებურებებისადმი მათი შესატყვისობის თვალსაზრისით პირველადი და აუცილებელი ამოცანაა, რომელიც უნდა გადაწყდეს მანამ, სანამ მოცემული პროფესიის ფსიქოლოგიური სტრუქტურის რაციონალიზაციის საკითხი დადგება. გარდა ამისა, პროფესიოგრაფიამ შეიძლება არსებითი დახმარება აღმოუჩინოს პროფესიათა ფსიქოლოგიური რეკონსტრუქციის ძირითადი მიმართულებების დადგენის საქმესაც. როგორც ცნობილია, შრომითი ოპერაციების ანალიზის შედეგად ჩვენ გვეძლევა შესაძლებლობა, გამოვავლინოთ ამ ოპერაციათა მიმდინარეობისას აქტივიზებული ფსიქიკური ფუნქციები. გარდა ამისა, პროფესიოგრაფია შესაძლებელს ხდის დავადგინოთ, თუ როგორი უნდა იყოს ოპერაციების სტრუქტურა თითოეულ მომუშავეზე დაკისრებულ შრომით პროცესში, რომ რაც შეიძლება ნაკლებად იჩინოს თავი ოპერაციათა შემაფერხებელმა ფსიქიკურმა პროცესებმა და მოიმატოს ურთიერთმასტიმულირებელმა ფუნქციებმა.

ამგვარად, პროფესიოგრაფიის ძირითადი ამოცანებიდან განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პროფესიების რაციონალური გარდაქმნისათვის საჭირო მასალის მოპოვებას. ასეთი მასალა აუცილებელია როგორც არსებული პროფესიების გადასინჯვა-გარდაქმნისათვის, ასევე პროფესიუ-

ლი შრომის ახალი ფორმების პიროვნების ფსიქოლოგიურ სტრუქტურასთან ოპტიმალური შესაბამისობისათვის.

როგორც ირკვევა, პროფესიოგრაფირებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ცალკეული ტექნიკური ფუნქციების ფსიქოლოგიურ ანალიზს, როგორც პროფესიის ფსიქოლოგიურ რაციონალიზაციისათვის აუცილებელი მასალის მოპოვების საშუალებას. ამ ანალიზის საფუძველზე ჩვენ შეგვეძლება როგორც შრომის განაწილების პრობლემის რაციონალურად გადაწყვეტა ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ასევე პროფესიათა არსებულ შემთხვევაში, სადაც ანალიზის გზით გამოვლინდება რთული, მომუშავისათვის ძნელად სტრუქტურირებადი ფსიქიკური ფუნქციების არსებობა, ტექნიკის წინაშე დადგება გარკვეული გაუმჯობესების საშუალებით პროფესიული სამუშაოს შეცვლისა და მომუშავის ფსიქოფიზიკური შესაძლებლობებისადმი მისი მორგების ამოცანა. მაშასადამე, პროფესიის ტექნიკურ, ეკონომიკურ და ფსიქოლოგიურ მომენტებს შორის მუდმივი ურთიერთზემოქმედების დამყარება უნდა ჩაითვალოს ჩვენი დროის არსებით პრობლემად.[2]

გარდა ამისა, ჩვენს პირობებში პროფესიის ფსიქოლოგიაში განსაკუთრებული სიმწვავით წამოიჭრება კიდევ ერთი, უდავოდ დიდი პრაქტიკული და თეორიული მნიშვნელობის მქონე ამოცანა.

ფ. ენგელსის ერთ-ერთ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ მან პირველად განსაკუთრებული სიცხადით განსაზღვრა შრომის როლი ადამიანის ცხოველისაგან განმასხვავებელ სპეციფიკურ თავისებურებათა ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესში. ამჟამად უკვე უეჭველია, რომ ადამიანის განვითარების მიმდინარეობის განმსაზღვრელ ფაქტორს შრომა წარმოადგენს. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ შრომის აღმზრდელობითი მნიშვნელობა შემოფარგლულია ფილოგენეტური განვითარებით: პირიქით, ის არანაკლებ მნიშვნელოვან როლს ასრულებს ყოველი ცალკეული პიროვნების ჩამოყალიბებაში. ამიტომ ახალი ადამიანის, განსაკუთრებით მოზარდი თაობის აღზრდის პრობლემა შეიძლება გადაწყდეს მხოლოდ შრომის პროცესების პედაგოგიური ზემოქმედების საშუალებად გამოყენების პირობებში. მართალია, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებშიც კი შრომითი სწავლება ყოველდღიურ აღმზრდელობით მუშაობაში ყო-

---

[2] აუცილებელი არ არის იმის აღნიშვნა, რომ მსჯელობა ყველგან პროფესიის ფსიქოლოგიურ რაციონალიზაციას ეხება. პროფესიის განმსაზღვრელ დანარჩენ (ტექნიკურ, ეკონომიკურ და სხვა) მომენტებზე ამ შემთხვევაში არ შევჩერდებით.

ველთვის იყო ჩართული, მაგრამ ეს იყო ან გონებრივი შრომა, ხელოვნურად მოწყვეტილი რეალურ წარმოებით საქმიანობას, ან, უკეთეს შემთხვევაში, ხელით შრომა. ხელით შრომა მიზნად ისახავდა წარმოების კონკრეტულ ფორმებთან დაუკავშირებელი ხელით [illegible] ჩვევების განვითარებას, თანაც როგორც რეალური წარმოების [illegible] მეცნიერულ-ტექნოლოგიური საფუძვლების გაცნობიერების ამოცანებისაგან მოწყვეტით, იზოლირებულად.

პოლიტექნიკური აღზრდის იდეა, რომელიც პირველად მარქსმა ჩამოაყალიბა და განახორციელა, ჩვენში, სოციალისტური მშენებლობის პირობებში, არსებითად განსხვავდება ძველი სკოლის პოზიციისაგან. იგი ემყარება ფაბრიკა-ქარხნების მწარმოებლურ შრომაში მოზარდი თაობის მონაწილეობის აღმზრდელობით მნიშვნელობას და, ამასთანავე, მის უწყვეტ კავშირს თეორიულ განათლებასთან.

მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ყოველგვარი მწარმოებლური შრომა თანაბარი აღმზრდელობითი მნიშვნელობისაა. პოლიტექნიკური აღზრდის იდეაში პირველად არის ჩამოყალიბებული მოსაზრება არსებული შრომითი ფორმების განსხვავებული პედაგოგიური მნიშვნელობის შესახებ. როგორც ცნობილია, მარქსის აზრით, ყველა ბავშვი, გამონაკლისის გარეშე, უკვე 9 წლის ასაკიდან მწარმოებლურ შრომაში უნდა იყოს ჩართული. ეს უნდა მოხდეს მწარმოებლური შრომისა და განათლების ურთიერთკავშირის საფუძველზე. აღზრდა-განათლებაში მარქსიზმის კლასიკოსები გულისხმობენ გონებრივ, ფიზიკურ, პოლიტექნიკურ აღზრდას. პოლიტექნიკური აღზრდის საშუალებით მოსწავლეები ეცნობიან საწარმოო პროცესის მეცნიერულ საფუძვლებს და საწარმოო იარაღების გამოყენების პრაქტიკულ ჩვევებს იძენენ.[3]

მაშასადამე, განსაკუთრებული აღმზრდელობითი მნიშვნელობისაა მწარმოებლური შრომის ის ფორმები, რომლებიც მეტი წარმატებით აკმაყოფილებენ აღნიშნულ სამ პირობას: რაც უფრო მეტ აზროვნებით ფუნქციას ააქტიურებს მწარმოებლური შრომის ესა თუ ის სახეობა, რაც უფრო მეტად უწყობს ის ხელს ბავშვის ფიზიკური ძალების განვითარებას, რაც მეტ ელემენტარულ ტექნოლოგიურ და ტექნიკურ ცოდნასა და ჩვევებს იძლევა, მით უფრო მაღალი პედაგოგიური ღირებულება ენიჭება მწარმოებლური შრომის მოცემულ ფორმას.

---

[3] ინტერნაციონალის ჟენევის კონგრესის რეზოლუცია.

უდავოა, რომ პროფესიის ფსიქოლოგიის როლი ამ შემობვევაში განსაკუთრებული მნიშვნელობისაა: მოცემული მწარმოებლური შრომის ამა თუ იმ სახეობების აღმზრდელობითი მნიშვნელობა შეიძლება გამოვლინდეს მხოლოდ მისი ფსიქოლოგიური ანალიზის შედეგად. ამიტომ პროფესიოგრაფია ამჟამად გვერდს ვერ აუვლის ამ ამოცანას. პროფესიის პროფესიოგრაფიული ანალიზისას უნდა გაირკვეს თუ რამდენად აკმაყოფილებს პოლიტექნიკური აღზრდის მოთხოვნებს მოცემული მწარმოებლური შრომის ესა თუ ის შრომითი პროცესები.

II

ჩვენი მსჯელობიდან გამომდინარე, ცხადი ხდება, რომ ფსიქოლოგიური პროფესიოგრაფიის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენს პროფესიის გარდაქმნის პრობლემის გადასაწყვეტად ისეთი საჭირო მასალის მოპოვება, რომელიც შეესაბამება მომუშავის ფსიქოფიზიკურ შესაძლებლობებს. მაგრამ ყოველივე ეს ხომ არ ნიშნავს, რომ თანამედროვე ფსიქოტექნიკის ერთ-ერთი არსებითი პრობლემა — პროფესიული შერჩევა — დროებით, პროფესიათა ფსიქოლოგიურ რაციონალიზაციამდე. უნდა შეწყდეს, მაგრამ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გარკვეული შესატყვისობა პროფესიის სტრუქტურასა და ადამიანის ფსიქოფიზიკურ თავისებურებებს შორის უთუოდ არსებობს. მართალია, ეს შესატყვისობა კაპიტალისტური საზოგადოებისათვის დამახასიათებელი სტიქიური პროცესის შედეგია, მაგრამ ის საკმაოდ მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ შრომის პროდუქტიულობის შესამჩნევი ამაღლების ფაქტი აიხსნას როგორც ფსიქოტექნიკური პროფშერჩევის ცხოვრებაში პრაქტიკულად დანერგვის შედეგი. მაშასადამე, ჩვენ არ გვექნებოდა არც თეორიული და არც პრაქტიკული თვითგამართლება თუ, თუნდაც დროებით, უარს ვიტყოდით ფსიქოლოგიური პროფშერჩევის, პროფკონსულტაციისა და პროფორიენტაციის პრაქტიკაზე.

ამიტომ უდავოა, რომ პროფესიის ფსიქოლოგიური ანალიზი, ჩვენი მეცნიერების განვითარების მოცემულ ეტაპზეც კი არ შეიძლება შემოიფარგლოს მხოლოდ პროფესიის სტრუქტურის გარდაქმნისათვის საჭირო მასალის მოპოვების ამოცანით. პროფესიის ფსიქოლოგიური ანალიზი უნდა ითვალისწინებდეს ფსიქოტექნიკური პროფშერჩევის მეთოდიკის დასაბუთების ამოცანებსაც.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ პროფესიოგრაფია, როგორც წესი, ყოველთვის იყო ორიენტირებული ამ უკანასკნელ ამოცანაზე. მაშასადამე, პროფესიოგრაფია უნდა ფლობდეს საკმაოდ ფართო მასალას, რათა პროფესიოგრაფიული მუშაობისას შესაძლებელი იყოს პროფესიოგრამების შედგენებისათვის საჭირო მეთოდიკის შემუშავება.

ბიბლიოთეკა

მაგრამ ტრადიციული პროფესიოგრაფიული მუშაობის სიმძიმის ცენტრი პროფესიის ფსიქოლოგიურ ანალიზზე მოდის, მთავარი კი იმის გარკვევაა, თუ რომელი ფუნქციები აქტიურდება გაანალიზებული პროფესიული საქმიანობის პროცესში. იგულისხმება რომ მომუშავის პროფვარგისიანობა დამოკიდებულია მასში ანალიზის შედეგად გამოვლენილი ფსიქიკური ფუნქციების არსებობაზე. მაშასადამე, ფსიქოტექნიკა ყურადღებას ამახვილებს ცალკეული ფსიქიკური ფუნქციების გამოვლენაზე ჯერ უშუალოდ პროფესიულ საქმიანობაში, ხოლო შემდეგ ადამიანში, რომლის პროფვარგისიანობაცაა გამოსარკვევი.

ნათელია, რომ ამ შემთხვევაში ფსიქოტექნიკა ეფუძნება გარკვეულ თეორიულ წანამძღვრებს, რომელთა ჭეშმარიტება ყოველგვარი შემოწმების გარეშე დოგმატურადაა სარწმუნოდ მიღებული. ეს არის ახალი დროის საბუნებისმეტყველო მეცნიერების მექანიცისტური პრინციპების საფუძვლები. ფიზიკამ და ქიმიამ ფიზიკურ-ქიმიური პროცესების, ანუ მოვლენების შესწავლაში არნახულ სიმაღლეებს ისე მიაღწიეს, რომ ფაქტიურად არ დასჭირვებიათ ამ მოვლენების მატარებელი სუბიექტის შესახებ არაორგანული ბუნების სპეციფიკურობით გამართლებული მოვლენათა იზოლირებულად შესწავლის პრინციპი, რაც შემდგომ გადმოტანილი იქნა ფსიქოლოგიაში და ფსიქიკური პროცესების ანუ განცდების შესწავლა წარიმართა ამ განცდების მატარებელ სუბიექტთან ყოველგვარი მიმართების გარეშე. ამ მდგომარეობამ ჩვენი მეცნიერება უაღრესად საშწუხარო შედეგამდე მიიყვანა: ადამიანის შესწავლის ნაცვლად ყურადღება გამახვილდა სუბიექტისაგან მთლიანად აბსტრაჰირებულ განცდებზე. ამიტომ, ბუნებრივია, მან ვერ შეძლო უპიროვნო განცდებიდან მთლიან პიროვნებაზე გადასვლა, ტრადიციულმა ფსიქოლოგიამ, ბოლოს და ბოლოს, დაივიწყა ეს უკანაკნელი. მაშასადამე, ცალკეული ხეების ძიებისას მთლიანად მოისპო ტყის დანახვის შესაძლებლობა.

ამჯერად აუცილებელი არ არის სპეციალურად შევჩერდეთ ტრადიციული ფსიქოლოგიის თეორიული პრინციპის კრიტიკულ ანალიზზე. საკმარისია მხოლოდ შევეხოთ ამ პრინციპის ფსიქოტექნიკაში დანერგვის საკითხს, რათა დავრწმუნდეთ, თუ რამდენად უნაყოფოა იგი ჩვენი მეცნი-

ერებისათვის. ფსიქოტექნიკას როგორც გამოყენებით ფსიქოლოგიურ დისციპლინას განსაკუთრებით პროფესიული შერჩევის პრობლემის გადაწყვეტისას, საქმე აქვს ცოცხალ ადამიანთან, პიროვნებასთან. ამიტომ ცალკეული ფსიქიკური აქტებისა და ფუნქციების მატარებელი პიროვნების ნორირება, შესაძლოა, მეტ-ნაკლებად სადავო იყოს ამ ფუნქციების ზოგადფსიქოლოგიური შესწავლისას, თუმცა ჩვენს მეცნიერებაში ასეთი იგნორირების დაუშვებლობა სავსებით ცხადია. შესაფერისი ფსიქიკური ფუნქციების არსებობა ინდივიდში სრულებითაც არ იძლევა რეალურ, პროფესიულ საქმიანობაში მათი ჩართვის გარანტიას. ასეთი გარანტიისათვის აუცილებელია აღნიშნულ ფსიქიკურ ფუნქციებსა და შესარჩევ პიროვნებათა ძირითად თავისებურებებს შორის დადებითი კავშირის დადასტურება, თუ პიროვნება განიხილება როგორც ცალკეული ფსიქიკური ფუნქციების ან ნიშნების უბრალო ჯამი და სხვა არაფერი, რაც უდავოდ გამომდინარეობს ტრადიციული ფსიქოტექნიკის ზემოაღნიშნული პრინციპებიდან. მაშინ ფსიქოტექნიკის ჩვეულებრივ პოზიციას შეიძლება გარკვეული გამართლება მოეძებნოს. მაგრამ დღეისათვის დადგენილად ითვლება, რომ აღნიშნული თვალსაზრისი რამდენადმე მოკლებულია სერიოზულ საფუძველს. [4]

---

[4] ჩვენი გამოკვლევის ზერელე გაცნობამ შეიძლება წამოჭრას გამაოგნებელი კითხვა: რამდენად სწორია, რომ პროფშერჩევა ეფუძნება პიროვნების ფსიქოლოგიური სტრუქტურის პროფესიის ფსიქოლოგიურ სტრუქტურასთან შესატყვისობას? ეს ხომ არ ნიშნავს, რომ განვითარების ფაქტორი (პიროვნებისა და შრომის ურთიერთზემოქმედება) მოცემულ შემთხვევაში მთლიანად ამოვარდნილია? ხომ არ იწვევს ეს პროფშერჩევის აღმზრდელობითი ამოცანების დაყვანას უხეშ შერჩევამდე? ასეთი შეკითხვები შეიძლება აღმოცენდეს მხოლოდ სქემატურად გამარტივებული, ზერელე აზროვნების საფუძველზე. საქმე ისაა, რომ, როგორც ცნობილია, ერთი და იგივე შრომითი პროცესის განმავითარებელი ზემოქმედება ადამიანებზე ერთნაირი როდია: შრომის ერთი და იგივე სახეობა ერთისათვის შეიძლება დამღუპველი, მეორისთვის კი განვითარების ოპტიმალური პირობა აღმოჩნდეს. საერთოდ, განვითარება ეფუძნება მხოლოდ წინააღმდეგობათა ერთიანობას: ადამიანის განვითარების საფუძველი შინაგანი და გარეგანი ფაქტორების ერთობლიობაა. შრომის ესა თუ ის სახეობა ფორმირების ოპტიმუმს შეიძლება განაპირობებდეს მხოლოდ იმ ადამიანებთან, რომლებსაც, სხვა პირობათა თანაბრობის შემთხვევაში, სწორედ შრომის მოცემული სახეობის პირობებში ექნებათ განვითარების შინაგანი შესაძლებლობები. ამიტომ ცხადია, რომ პიროვნების სტრუქტურისა და პროფესიული შრომის ადეკვატურობა არა თუ არ გამორიცხავს განვითარების შესაძლებლობას, არამედ, პირიქით, იგი პიროვნების განვითარების შესაძლებლობის რეალიზაციის აუცილებელი პირობაა. (იხ. ადამიანის განვითარების შესახებ ჩემი თეორია (ვოიციდენცის თეორის) ჩემს პედოლოგიაში, ტ. I. 1933წ. (ქართულ ენაზე).

მაშასადამე ცხადია, რომ თანამედროვე ფსიქოტექნიკის თეორიული საფუძველი, რომლის მიხედვითაც პროფესიოგრაფია ორიენტირებულია მხოლოდ გასაანალიზებელი პროფესიებისათვის დამახასიათებელი ფსიქიკური ფუნქციების გამოვლენაზე, არასწორად და სრულიად უსაფუძოდ უნდა ჩაითვალოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშასადამე, აუცილებელია ახლებურად დაისვას საკითხი პროფესიულ შრომასა და მომუშავე პიროვნების ფსიქოფიზიკურ თავისებურებებს შორის არსებული მიმართების ჭეშმარიტი ბუნების შესახებ.

III

შრომის ცნება აერთიანებს ორ განსხვავებულ, სუბიექტურ და ობიექტურ მომენტს. ესა თუ ის ობიექტურად მოცემული სიტუაცია რომელიმე სუბიექტისათვის შეიძლება გადაიქცეს შრომითი ხასიათის მატარებელ სიტუაციად. მაგრამ შესაძლოა იგივე სიტუაციას იმავე სუბიექტისათვის ამგვარივე ხასიათის არ აღმოჩნდეს. პირველ შემთხვევაში სიტუაცია სუბიექტში შრომითი ქცევის გამომწვევია, მეორეში კი არა. ცხადია, აქ თავს იჩენს ორი სრულიად განსხვავებული დამოკიდებულება სუბიექტსა და ობიექტურად მოცემულ სიტუაციას შორის. როგორია ეს დამოკიდებულებები?

პირველ შემთხვევაში სუბიექტსა და ობიექტურ სიტუაციას შორის მყარდება გარკვეული მიმართება, რომელიც თავიდან გამოიხატება სუბიექტის შრომითი მზაობით, შემდეგ კი უშუალოდ მისი შრომითი ქცევით. სუბიექტი უპირისპირდება სიტუაციას არა როგორც მისთვის რაღაც უცხოს, მისადმი ინდიფერენტულსა და ნეიტრალურს, არამედ, პირიქით, სიტუაცია განიცდება, როგორც „დამახასიათებელი მოთხოვნების" მატარებელი, რომელიც სუბიექტის სტიმულირებას გარკვეული ხასიათის ქცევის მიმართულებით წარმართავს. სუბიექტში იქმნება მდგომარეობა, რომელსაც შეიძლება „შრომითი მზაობა" ვუწოდოთ.

რაზეა დამოკიდებული აღნიშნული შრომითი მზაობა? უდავოა, რომ, ჩვეულებრივ, ასეთ შემთხვევებში გადამწყვეტ როლს იძენს სუბიექტში არსებული გარკვეული მოთხოვნილება. ესა თუ ის სიტუაცია მშიერი ადამიანისათვის შეიძლება შრომით სიტუაციად იქცეს, თუ მას ჭამის მოთხოვნილების დაკმაყოფილების შესაძლებლობა ახლავს. ამ შემთხვევაში სიტუაცია სუბიექტისაგან თითქოს მოითხოვს მოთხოვნილების დასაკმაყოფილებელი საშუალებების მოსაპოვებლად საჭირო ძალების გააქტიუ-

რებას და მაშასადამე, შრომითი მზაობის აღმოცენებას. მაგრამ, როგორც კი მიზანი მიიღწევა მოთხოვნილების დაკმაყოფილების სიტუაცია სუბიექტისათვის ნეიტრალური, გაუცხოებული ხდება, ის უკვე ადარ არის მისთვის შრომითი სიტუაცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშასადამე, ობიექტურად მოცემული სიტუაცია ამა თუ იმ მოთხოვნილების კარნახით იძენს გარკვეული აქტივობის ხასიათს, რის შედეგადაც ეს სიტუაცია, როგორც ამას კ. ლევინი[5] აღნიშნავს, ზემოქმედებს სუბიექტზე „მოთხოვნის ხასიათით", წამოჭრის მის წინაშე ამოცანას და მას ადეკვატური მოქმედების სტიმულაციას უქმნის.

ამგვარად, შრომითი მზაობა წარმოადგენს ორმხრივად განპირობებულ მდგომარეობას: სუბიექტის განცდაში მოცემული მოთხოვნილების მხრივ და იმავე სუბიექტზე ზემოქმედი „დამახასიათებელი მოთხოვნის" მატარებელი ობიექტის მხრივ.

სულ სხვა ვითარებაა პროფესიულ შრომასთან დაკავშირებით. აქ, ალბათ, ვერ დავადასტურებთ მოთხოვნილების არსებობას ამ სიტყვის ბიოლოგიური მნიშვნელობით; მოთხოვნილებისა, რომელიც იქნება სუბიექტის აღმძვრელი მოცემული შრომითი საქმიანობისადმი. როგორც ცნობილია, პროფესიული შრომის პროცესში შექმნილი ღირებულება არ არის გამიზნული მომუშავე პროფესიონალის უშუალო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის: ეს უკანასკნელი მუშაობს ბაზრისთვის, ე.ი. არა საკუთარი, არამედ სხვისი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. მაგრამ თუ პროფესიული შრომის სიტუაციას არაფერი აქვს საერთო მომუშავის ბიოლოგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებასთან, მაშინ, ბუნებრივია, ეს სიტუაცია მოკლებულია ქცევის აღძვრის შესაძლებლობას, „მოთხოვნის ხასიათს", რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, განაპირობებს და განსაზღვრავს „შრომით მზაობას". მაშასადამე, პროფესიული შრომის პირობებში თითქოსდა ლაპარაკიც კი არ შეიძლება მომუშავის შრომითი მზაობის შესახებ.

მაგრამ ლევინის თეორიის მიხედვით, ადამიანს აქვს არა მხოლოდ მისი ორგანიზაციის ცხოველმყოფელობის ბიოლოგიურ საწყისებზე დაფუძნებული მოთხოვნილებები. ადამიანი, ლევინის აზრით, სხვა, სოციალურ გარემოსთან მისი ურთიერთობის შედეგად წარმოქმნილი მოთხოვნილებების მატარებელიცაა. მოთხოვნილებებისაგან განსხვავებით, ლევინი მათ უწოდებს „კვაზი მოთხოვნილებებს". „კვაზი მოთხოვნილებები" მოქ-

---

[5] Lewin, Witle, Vorsats, Bedurfnis, 1926.

მელების ხასიათით არ განსხვავდება ნამდვილი მოთხოვნილებებისაგან, რომელთა საფუძველზეც ალმოცენდნენ ისინი და ჩვენი რეაქციების ამოქმედების მონათესავე მექანიზმს ფლობენ.

ჩვენი პრობლემის გადასაჭრელად თუ გამოვიყენებთ „კვაზი-მოთხოვნილების" ცნებას, მაშინ პროფესიული შრომა შესაძლოა დაფუძნებული იქნეს რომელიმე კვაზი მოთხოვნილებაზე. ამ მოთხოვნილების ფონზე პროფესიული შრომის ობიექტური სიტუაცია კვაზი მოთხოვნილებების მქონე მომუშავე სუბიექტის წინაშე გარკვეული „ხასიათის მოთხოვნებით" უნდა წარდგეს. ასეთ შემთხვევაში პროფესიული შრომის შესაძლებლობა ფაქტობრივად დაემყარება ისეთსავე საფუძველს, როგორსაც ეფუძნება ნამდვილი მოთხოვნილებით სტიმულირებული შრომითი პროცესის შესაძლებლობები.

მაშასადამე, წარმოდგენილი თეორიის მიხედვით, ესა თუ ის ობიექტურად მოცემული სიტუაცია მოცემული პიროვნების შრომითი ქცევის მასტიმულირებელ შრომით სიტუაციად მხოლოდ ისეთ პირობებში გადაიქცევა, როდესაც პიროვნება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში იქნება გარკვეული ბიოლოგიური ან სოციალურად გაპირობებული მოხოვნილების (ლევინის ტერმინოლოგიით — კვაზი მოთხოვნილების) მატარებელი. პროფესიული საქმიანობის პირობებში, როგორც აღვნიშნეთ, მსჯელობა შეიძლება არა ბიოლოგიურ, არამედ სოციალურად განპირობებულ მოთხოვნილებებზე.

წარმოდგენილი თეორია სრულიად მისაღები იქნებოდა მოთხოვნილების ცნების შინაარსი რომ არ ატარებდეს შემთხვევით ხასიათს მომუშავის შრომით პროცესში აქტივიზებულ ფსიქო-ფიზიკურ ფუნქციათა კომპლექსთან მიმართებაში. ამიტომ აუცილებელია არსებითი კორექტივების შეტანა ლევინის კვაზი მოთხოვნილების ცნებაში და, მაშასადამე, მისი შინაარსის შეცვლაც.

მართლაც! როდესაც გარკვეული ქუასი — მოთხოვნილების მატარებელი პიროვნება უპირისპირდება გარკვეულ სიტუაციას, მოთხოვნილების ცნების მნიშვნელობიდან გამომდინარე, ის აღიქვამს ამ სიტუაციას, როგორც მასზე შესაფერისი ზემოქმედებით მოთხოვნილების დამაკმაყოფილებელ საშუალებას. რაც შეეხება საკუთრივ სიტუაციაზე ზემოქმედების ხასიათს, მოთხოვნილების ცნების შინაარსი ამ მიმართულებით არ იძლევა არავითარ მითითებას: მოთხოვნილების ცნებიდან გამომდინარე შეუძლებელია სიტუაციაზე ზემოქმედების ხასიათის გარკვევა. ამიტომ, ცხადია, პიროვნებასა და სიტუაციას შორის თავისებური კავშირის ფაქტის

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

გასაგებად კვაზი მოთხოვნილების ცნება არ არის საკმარისი. პიროვნებასა და სიტუაციას შორის კავშირ-მიმართებები, მოცემულ კონკრეტულ პირობებში, ღებულობს გარკვეული ამოცანის ფორმას, რომელიც გადაწყვეტაც პიროვნების ფსიქოფიზიკურ შესაძლებლობებზე დაფუძნებული კონკრეტული ქცევით მიიღწევა.

იმისათვის, რომ მოცემულმა სიტუაციამ სუბიექტის გარკვეული შრომითი ქცევა გამოიწვიოს, სუბიექტს უნდა გააჩნდეს საჭირო ფსიქოფიზიკური ძალები, თუმცა მხოლოდ მათი არსებობის ფაქტი არ არის საკმარისი სუბიექტში ძალების ამოქმედებისათვის.

ერთსა და იმავე სიტუაციაში მყოფ ერთნაირი მოთხოვნილების მქონე ორ სუბიექტში სიტუაციამ შრომითი მოქმედებების სტიმულაცია შეიძლება აღძრას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დავუშვებთ, რომ მათ ერთნაირი შინაგანი შრომითი შესაძლებლობები აქვთ. მაგრამ მეორე სუბიექტისათვის იგივე სიტუაცია იქნება ნეიტრალური, ინდიფერენტული, ყოველ შემთხვევაში, შრომითი აქტივობის ნაკლებად მასტიმულირებელი მოცემული მიმართულებით პირველი სუბიექტის მიერ სიტუაცია განცდილი იქნება, როგორც აქტიური, გარკვეული ამოცანის გადასაწყვეტად საჭირო შრომითი აქტივობის აღმძვრელი, რაც მეორე სუბიექტთან არ გამოვლინდება.

აღნიშნული მდგომარეობის ახსნა, „ფუნქციური ტენდენციის" ცნებიდან გამომდინარე რთული არ არის.[6] „ფუნქციური ტენდენციის" ცნებაში მე ვგულისხმობ დღემდე ნაკლებად შემჩნეულ და ადამიანის ორგანიზმის ფსიქოფიზიკური თვისებების თვალსაზრისით რადიკალურად მნიშვნელოვან, ნაკლებად შესწავლილ მოვლენას. საქმე ისაა, რომ ფსიქოფიზიკურად ორგანიზმი წარმოადგენს საკუთარი სიმყუდროვისა და პასიურობის შემანარჩუნებელ სისტემას, ვიდრე რომელიმე გარე ზემოქმედება არ გამოიყვანს მას უმოქმედო, გაწონასწორებული მდგომარეობიდან და არ წარმართავს მის ძალებს ამა თუ იმ ქცევისაკენ. ორგანიზმში არსებული ძალების ბუნებრივ მდგომარეობად არ უნდა ჩაითვალოს ამ ძალთა უმოქმედობა მანამ, სანამ რომელიმე გარე გამღიზიანებლის სტიმულაცია არ მიმართავს მათ ამა თუ იმ რეაქციისკენ. მარტივ ორგანიზმებზე ჩატარებული ექსპერიმენტებიდანაც ნათელია, რომ მათთვისაც კი მოძრაობა და აქტიური მოქმედება ბუნებრივი მდგომარეობაა (დ. ჯენინგსი), ხოლო

---

[6] ამჟამად ამ ცნებას მე მხოლოდ სქემატურად შევებები. უფრო დეტალურად ის განხილული მაქვს ჩემს „პედოლოგიაში". ტ. I. 1933, სადაც ამ ცნებას მნიშვნელოვანი როლი ეკისრება.

მყუდროება მხოლოდ ამ ბუნებრივი მდგომარეობის დარღვევა, დაღლილობის შედეგი, რომელიც აუცილებელია, რათა, ორგანიზმი დაუბრუნდეს ადრინდელ ბუნებრივ მდგომარეობას — აქტივობას. აღნიშნული გარემოება უფრო მაღალი ხარისხით ადამიანებთან ვლინდება, [illegible] პროცესში მიმდინარე ხანგრძლივი ფილოგენეტური [illegible] გად მოხდა ცოცხალი არსების ზემოაღნიშნული ძირითადი მომენტის დიფერენცირება ადამიანის სპეციფიკურ თავისებურებად — ცნობიერ შრომით აქტივობად.

ამგვარად, ყოველ ცოცხალ ორგანიზმს ახასიათებს დასაბამიერი სწრაფვა გარკვეული აქტივობისადმი. მაგრამ ადამიანს, რომელიც შრომის პირობებში მიმდინარე აქტივობის შედეგად განვითარდა ამ დასაბამიერი სწრაფვის გამოვლინება მხოლოდ გარკვეულ მასალაზე ზემოქმედებაში, მის შეცვლა-რეორგანიზაციაში შეუძლია.

ადამიანისათვის დამახასიათებელი ის კი არ არის, რომ მისი ბუნებრივი მდგომარეობა აქტივობაა, არამედ ის, რომ იგი ამ აქტივობას ობიექტური მონაცემების ცნობიერ გარდაქმნაში ანუ შრომით ქცევაში ავლენს.

ამგვარად, ადამიანის სპეციფიკური მდგომარეობა — შრომითი აქტივობისადმი სწრაფვაა.

მაგრამ რამდენადაც ადამიანის სახით საქმე გვაქვს რთულ სისტემასთან, რომელიც თავის მხრივ მოიცავს ძალთა ცალკეულ სისტემებსა და უნარებს, ნათელია, რომ მისთვის დამახასიათებელია არა ზოგადი სწრაფვა შრომითი აქტივობისადმი, არამედ სწრაფვა გარკვეული სახის შრომითი ქცევისადმი. საქმე ისაა, რომ ადამიანთა დიფიერენცირება ხდება იმის მიხედვით, თუ ძალთა რა სისტემები და უნარები იჩენენ თავს შრომის პირობების გავლენით თითოეულ მათგანში. ვინაიდან ადამიანს აქვს სრომითი აქტივობისკენ უმთავრესი სწრაფვა, ცხადია, ეს ლტოლვა თითოეულ პიროვნებაში შეიძლება მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ ფუნქციათა სისტემის გააქტიურებაში გამოვლინდეს, ვინაიდან ამ სისტემის ამოქმედება შესაძლებელია მხოლოდ შესატყვისი მასალისა და ამოცანის მიმართ, ეს ტენდენცია შეიძლება გავიაზროთ როგორც სისტემისადმი ადეკვატური შრომითი ქცევის გარკვეული სახეობისადმი მიმართული ტენდენცია.

ადამიანის აქტივობის ამგვარი გააზრებით შრომითი ქცევის ყოველი კონკრეტული შემთხვევა შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ: ყოველი მოცემული პიროვნება არის შრომის პირობებში ფილოგენეტურად შემუშავე-

ბულ გარკვეულ ფუნქციათა სისტემის მატარებელი, სისტემისა, რომელიც ყოველი ორგანიზმისათვის დამახასიათებელი ფუნქციონალური ტენდენციის სახით შთამომავლობით არის მიღებული და მისი შესაბამისი თვითგააქტიურების ტენდენცია გააჩნია. აღნიშნული ტენდენციის რეალიზება გარკვეული შრომითი ქცევის სახით მხოლოდ შესატყვის ძრომით სიტუაციაში შეიძლება მოხდეს.[7]

ასეთ შემთხვევაში ხდება სიტუაციის პიროვნებისადმი დამოკიდებულების შეცვლა:

სიტუაცია ხდება აქტიური, სუბიექტის ფუნქციური ტენდენციის შესაბამისად მისი ქცევის მასტიმულირებელი.

ამგვარად წარმოიქმნება გარკვეული შრომითი მზაობა, რომელიც შესაფერის პირობებში რეალიზდება გარკვეული შრომითი აქტივობის სახით.

მაშასადამე, პიროვნებასა და ობიექტურად მოცემულ სიტუაციას შორის მყარდება გარკვეული კავშირი, რომელიც გამოიხატება არა ზოგადად შრომის, **არამედ გარკვეული სახის შრომისადმი** მზაობაში. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ყოველივე ეს ხდება ორი არსებითი მომენტის — სუბიექტურისა და ობიექტურის ურთიერთქმედების პირობებში: სიტუაცია ხდება აქტიური მხოლოდ მაშინ, როდესაც პიროვნებაში მოცემულია გარკვეული ფუნქციონალური ტენდენცია, ხოლო ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, აქტიურდება, თუკი ადგილი აქვს გარკვეული „მოთხოვნების" მქონე სიტუაციის პიროვნებაზე აქტიურ უკუზემოქმედებას. უნდა ვივარაუდოთ, რომ ყოველგვარი შრომის აუცილებელ პირობად — შრომითი მზაობის ერთ-ერთ ძირითად და აუცილებელ პირობად უნდა ჩაითვალოს ძალთა და უნართა მოცემული პიროვნებისათვის დამახასიათებელი სისტემა, რომელსაც იმთავითვე აქვს გარკვეული მიმართულებით გააქტიურების ტენდენცია. მას ჩვენ ვუწოდებთ ფუნქციურ ტენდენციას და მივიჩნევთ შრომითი მზაობის აღმოცენების შესაძლებლობის საფუძვლად, რაც ჩვეულებრივ პირობებში ამა თუ იმ ინტერესის სახით განიცდება.

მაგრამ ჩვენ გვაინტერესებს თუ როგორ ყალიბდება გარკვეული შრომითი ქცევის წარმატებულ ფორმად ფუნქციური ტენდენციის საფუძველზე აღმოცენებული შრომითი მზაობა. ამის გასარკვევად საჭიროა

---

[7] მოცემული დებულების აზრს ნათელს ჰფენს ბავშვის განვითარების ჩემ მიერ დამუშავებული თეორიის (კონვერგენციის თეორიის) ძირითადი დებულებების გაცნობა. აღნიშნული თეორია ჩემ მიერ პირველად არის განვითარებული „პედოლოგიის" I ტომში, 1933.

სპეციალურად შევჩერდეთ პროფესიული საქმიანობის პროცესზე და გამოვავლინოთ მისი ძირითადი ფსიქოლოგიური არსი, რათა შეტანაკლებად ნათელი მოვფინოთ პროფესიისა და ადამიანის ფსიქოფიზიკურ ფუნქციებს შორის მიმართების ჩვენთვის საინტერესო საკითხს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

IV

სიტუაციასა და პიროვნებას შორის არსებობს განსხვავებული ტიპის მიმართებები, საიდანაც გამომდინარეობს ქცევის ესა თუ ის ფორმა. ქცევის ყოველი ცალკეული ფორმის შემთხვევაში საქმე გვაქვს განსხვავებული ფსიქოფიზიკური ფუნქციების გააქტიურებასთან ადამიანში. ჩვენთვის საინტერესო საკითხის გასარკვევად საჭიროა მოკლედ დავახასიათოთ პიროვნებასა და სიტუაციას შორის არსებული მიმართების თითოეული ტიპი.

მიმართების სხვადასხვა ტიპებიდან ყველაზე მარტივს ე.წ. რეფლექსი წარმოადგენს. გარკვეულ სიტუაციაში მოხვედრილ ცოცხალ ორგანიზმზე მოქმედებს რაიმე სახის გამაღიზიანებელი -- მტკივნეული ჩხვლეტა კანზე, სინათლის ინტენსიური სიკაშკაშე, მექანიკური ზემოქმედება თვალებზე, დამაყრუებელი ხმაური და ა.შ. მოულოდნელი გაღიზიანება იწვევს ხელის სხარტ მოძრაობას, თვალის მოხუჭვას, მიელი სხეულით შეკრთომას და ა.შ. ყველა ამ შემთხვევაში გამღიზიანებელსა და მოძრაობას შორის მყარდება უშუალო, ცალსახა კავშირი: გამაღიზიანებელი ზემოქმედებს რა ღრმა, მთლიან-პიროვნული მახასიათებლების გვერდის ავლით, ზედაპირულად ყოველთვის იწვევს ერთიდაიმაცე ფუნქციის ერთგვარი მნიშვნელობით გააქტიურებას. ამგვარ მიმართებებს გამაღიზიანებელსა და ფუნქციას შორის ზელცი „რეფლექსოიდურს" უწოდებს. ასეთ შემთხვევებში, გარკვეული გამაღიზიანებლები ყოველთვის პირდაპირ და უშუალოდ ახდენენ ერთგვარი ფუნქციების აპელირებას და წარმართავენ მათ ერთი და იმავე მოქმედებისაკენ მთლიან პიროვნებასთან კავშირის გარეშე. ჩვენი აზრით, „რეფლექსოიდური" მოვლენების ყველაზე არსებით მომენტად სწორედ უშუალობის ეს ფაქტი , სუბიექტის გარეშე ერთგვარი კავშირი უნდა ჩაითვალოს გამაღიზიანებელსა და ორგანიზმის შესატყვის ფსიქოფიზიკურ ფუნქციებს შორის.

გარემოსა და ორგანიზმის კავშირის მეორე ფორმას ე.წ. ინსტინქტური ქცევები წარმოადგენს. რეფლექსური კავშირებისაგან ისინი, უპირველეს ყოვლისა, მოძრაობების მნიშვნელოვანი სირთულეით განსხვავდები-

ან. გარდა ამისა, ინსტინქტური მოძრაობების შესატყვის გამაღიზიანებლებთან მიმართება არ გამოირჩევა ისეთი უპირობო ხასიათით, როგორც ეს რეფლექსოიდური ქცევის შემთხვევაშია ყოველთვის კონსტატირებული. შესაფერისი გამაღიზიანებლები ყოველთვის როდე[illegible] ინსტინქტური მოძრაობების სტიმულაციას; იგი თავს იჩენს [illegible] რომელ[illegible] [illegible] [illegible] [

მისთვის საინტერესო ღირებულების შექმნის გარანტს წარმოადგენს. ასეთ პირობებში მისი ამოცანაა საკუთარი ფსიქოფიზიკური ფუნქციებიდან ყველაზე ოპტიმალური შესაძლებლობების მქონე ფუნქციათა ამოქმედება დასახული მიზნის მისაღწევად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშასადამე, უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმის ცოდნას, თუ რით არის განსაზღვრული მომუშავე სუბიექტის მიერ გამოყენებული ფსიქოფიზიკური ფუნქციების, ანუ ოპერაციების გააქტიურება.

თუ დავუშვებთ, რომ ოპერაციათა და ფუნქციათა გააქტიურება მთლიანად სუბიექტზეა დამოკიდებული, მაშინ უნდა ვალიაროთ, რომ შრომითი ქცევა „ცდისა და შეცდომის" პრინციპზეა დაფუძნებული, არაფრით არ არის რეგულირებული და, მაშასადამე, ეფუძნება ცალკეულ შემთხვევებს. ასეთ პირობებში სუბიექტი იძულებული იქნებოდა მიეკვლია მის განკარგულებაში არსებული ხან ერთი, ხან მეორე ფუნქციისათვის და შეჩერებულიყო ერთ-ერთზე, რომელიც შედარებით მიზანშეწონილი და წარმატებული მუშაობის საწინდარი იქნებოდა, მაგრამ ასეთ შემთხვევაში არც ერთ მოცემულ ფუნქციას არ აღმოაჩნდებოდა მისთვის უპირატესობა. მისი გამოყენებით სამუშაოს დასაწყებად ან რომელიმე სხვა კონკრეტულ ფუნქციაზე გადასასვლელად. მაშასადამე, თვით სამუშაოს შესრულების მცდელობა და ამგვარად რაიმე შრომითი პროცესის დაწყებაც კი ასეთ პირობებში შეუძლებელი გახდებოდა. თუმცა აღნიშნული დაშვების მართებულობის შემთხვევაშიც კი იძულებული ვიქნებოდით გვეღიარებინა, რომ შრომითი პროცესი ბოლოს და ბოლოს წარმოადგენს მიზანშეწონილად მიჩნეულ ცალკეულ ფუნქციათა მექანიკურ გაერთიანებას, მათ უბრალო ჯამს. მაგრამ ამ შეხედულების გაზიარება არსებითად ეწინააღმდეგება ყველა ჩვენს პრინციპულ მოსაზრებას ადამიანის ქცევის ჭეშმარიტი ბუნების შესახებ.

შექმნილი სირთულიდან გამოსავლის პოვნაში ვერ დაგვეხმარება მოსაზრება, რომ თუკი სუბიექტს გააჩნია გარკვეული პირადი ან საზოგადოებრივი გამოცდილება, მას შეუძლია საკუთარი შრომითი ქცევის წარმართვის საკითხიც დამოუკიდებლად გადაწყვიტოს. აღნიშნული დაშვება მიუღებელია, უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ საქმე ეხება პრინციპული მნიშვნელობის საკითხს, რომელიც სუბიექტისა და შრომითი სიტუაციის პირველადი ურთიერთობის ჭრილში უნდა გადაწყდეს. გარდა ამისა, შრომის პროცესში გამოცდილება და გავარჯიშებულობა ყოველთვის რიდი უზრუნველყოფენ სუბიექტის წარმატებას უფრო ნაკლებ ჩვევა-გამოცდილებათა მქონე პირებთან შედარებით, განსაკუთრებით, მაშინ, როდესაც

შრომითი პროცესები მიმდინარეობს კრიტიკულ პირობებში, როდესაც ახალი, გაურკვეველი სიტუაციის წარმატებით დაძლევა სუბიექტისაგან გარკვეულ შემოქმედებით მიდგომას მოითხოვს.

უდგილოდ უნდა ჩაითვალოს მითითება იმაზე, რომ სუბიექტს აქვს აზროვნების უნარი, რომლითაც მას შეუძლია იხელმძღვანელოს შრომითი პროცესებისათვის საჭირო ფუნქციის შერჩევისას, რომ არაფერი ვთქვათ მის პრაქტიკულ ფორმაზე, ლოგიკური აზროვნების ფორმებით მსჯელობისასაც კი ზუსტად იმავე პრობლემატიკის წინაშე აღმოჩნდებით, როგორიც შრომით პროცესებზე მსჯელობისას წამოიჭრა. ამიტომ, სანამ შეეცდებოდეთ შრომის პროცესში ფუნქციათა გააქტიურების პრობლემის გადაწყვეტას აზროვნების უნარის მოშველიებით, საჭიროა ამ პრობლემის წინასწარ შრომის პროცესშივე გადაწყვეტა.[9] მაშასადამე, მოცემულ შემთხვევაში, პრობლემის გადაჭრას აზროვნების, ლოგიკის მოშველიებით არც კი უნდა შეეცადოთ.

როგორც ირკვევა, ჩვენი პრობლემის გადაჭრაში გადამწყვეტი მნიშვნელობა შრომით სიტუაციას უნდა მიენიჭოს. ამ მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს ის გარემოება, რომ შრომითი მზაობის არსებობისას, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სიტუაცია სუბიექტისათვის გარკვეული აზრით მაიძულებელ ხასიათს იძენს: ის აიძულებს მას მოახდინოს ფსიქოფიზიკური ფუნქციების გარკვეული მიმართულებით გააქტიურება. მაგრამ ნიშნავს კი ეს, რომ სიტუაცია პირდაპირ, უშუალოდ იწვევს შრომითი ქცევის შინაარსის შემადგენელ ფუნქციათა გააქტიურებას? როგორც ჩანს, არა. ვინაიდან ასეთი დაშვებისას უნდა გვეღიარებინა შრომითი პროცესების პროდუქტულობის უცვლელობა, მათი მაქსიმალური მიზანშეწონილობა და, მაშასადამე, სრული უშეცდომობაც. ასეთ პირობებში პირველშავე სუბიექტი იძულებული იქნებოდა აემოქმედებინა და გამოეყენებინა სამუშაო სუბიექტი სამუშაო სიტუაციის ამოცანებისადმი მაქსიმალურად შესაბამისი ძალებით. მას არასოდეს გაუჩნდებოდა მცდარი შრომითი ძალისხმევის შესაძლებლობის შიში. ამ შემთხვევაში შრომა არსებითად არ იქნებოდა განსხვავებული რეფლექსებისაგან. განსაკუთრებით კი ინსტინქტებისაგან და მისი გაცნობიერებულობა ყოველგვარ მნიშვნელობას მოკლებული აღმოჩნდებოდა.

---

[9] Blumenfeld, op. cit T. I.

ამგვარად, შრომითი ქცევის არსებითი თავისებურების გარკვევად ჩვენ არ უნდა ვიხელმძღვანელოთ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად აღებული არც სუბიექტისა და არც ობიექტური სიტუაციის ცნებებით.

როგორც ირკვევა, ჩვენ უნდა მივმართოთ ისეთ ცნებას, რომლის შინაარსშიც გაერთიანდებოდა ორივე ცნების უკიდურესი მოუხეშავი. ამით უმეტეს, როდესაც ამგვარ ორმხრივად გაპირობებულ მდგომარეობას სწორედ სუბიექტსა და სიტუაციას შორის რეალური შრომითი კავშირის შესაძლებლობას იმთავითვე მოცემული საფუძველი — შრომითი მზაობა წარმოადგენს. როდესაც შრომითი მზაობის მქონე სუბიექტი აღმოჩნდება გარკვეულ შრომით სიტუაციაში, ეს უკანასკნელი გამოიწვევს მის სტიმულირებას გარკვეული ქცევისადმი. მაგრამ, როგორც ვიცით, შრომითი სიტუაცია უშუალოდ როდი იწვევს ქცევის შინაარსში ჩასართველ ძალთა სისტემების გააქტიურებას. მეორე მხრივ, უაზრობა იქნებოდა ქცევის შესაძლებლობის დაშვება სუბიექტზე სიტუაციის მარეგულირებელი ზემოქმედების არსებობის გარეშე. მაგრამ ამგვარი ზემოქმედება, როგორც აღვნიშნეთ, არ არის მიმართული სუბიექტის ცალკეული ფსიქოფიზიკური ძალებისადმი, ამიტომ ეს ძალები სიტუაციის მხრივ არ იმარილებიან. მაშასადამე, ნათელია, რომ საკითხის გადასაჭრელად, ჩვენ ისევ ქცევის სუბიექტს უნდა მივმართოთ, თუმცა ობიექტური სიტუაციის მონაწილეობის გარეშე. ფსიქოფიზიკურ ძალთა წარმართვის საკითხი, საეჭვოა, მხოლოდ სუბიექტის მეშვეობით გადაიჭრას. როგორ შეიძლება დავძლიოთ მოცემული სიძნელე?

V

უეჭველია, რომ სიტუაცია ზემოქმედებს მხოლოდ ასეთი ზემოქმედებისათვის მომზადებულ სუბიექტზე. მაგრამ, როგორც დავრწმუნდით, ის ზემოქმედებს არა სუბიექტის ცალკეულ იზოლირებულ ძალებსა და „უნარებზე", არამედ მის პიროვნებაზე მთლიანად. ასეთი ზემოქმედების შედეგად მასში წარმოიქმნება **გარკვეული** მოდიფიკაცია, რომელიც **დამოკიდებულია, ერთი მხრივ, სიტუაციაზე, ხოლო, მეორე მხრივ, — სუბიექტზე, რამდენადაც ის მხოლოდ სუბიექტში** შრომითი ამოცანის არსებობის პირობებში **აღმოცენდება. პიროვნების ეს მთლიანი** მოდიფიკაცია **წარმოადგენს მასში** მოცემული **შრომითი** ამოცანის **პოზიციიდან** შრომითი სიტუაციის **ამოცანისაკენ** დაუნაწევრებელ **გარდატეხას.** მაშასადამე,

ის შეიძლება გავიგოთ როგორც სუბიექტის მიერ მოცემული ამოცანის არარეალიზებული, პოტენციური გადაწყვეტა.

როგორც ირკვევა, შრომითი ამოცანის გადაწყვეტა ხორციელდება მანამ, სანამ სუბიექტი, გარკვეული შრომითი ქცევის [illegible] ბით, შეუდგებოდეს ამ ამოცანის ფაქტობრივ გადაწყვეტას. ეს [illegible] სული მდგომარეობა სულაც არ არის შეუცნობადი. საქმე ისაა, რომ ანალოგიური ფაქტები ხშირია ადამიანის სიცოცხლეში და ზოგიერთ შემთხვევაში იმდენად გამოკვეთილად ვლინდება, რომ მათი არსებობის სანდოობა უეჭველი ხდება. თანამედროვე ფსიქოლოგიაში აღნიშნული ფაქტები ხშირ შემთხვევაში განწყობის გავლენითაა ახსნილი; განწყობისა, რომელიც, რაც დრო გადის, მით უფრო მეტად იპყრობს მკვლევართა ყურადღებას. მართალია, ეს ცნება ჯერჯერობით უპირატესად მისი გამოვლენის უხეშ ფორმებში შეისწავლება. როდესაც განწყობის რეალიზაცია გამოიხატება, მაგალითად, მოცემული სიტუაციის შეცდომით აღქმებში. მაგრამ ეს აიხსნება მხოლოდ იმით, რომ ამ შემთხვევებში შეცდომები თვალშისაცემია და მათი გვერდის ავლა შეუძლებელი. და არა იმით, რომ განწყობა მხოლოდ შეცდომების შემთხვევებში მოქმედებს. ამ დროს მეორდება იგივე, რასაც ვ. შტერნმა გაუსვა ხაზი მეტყველებაში ანალოგიის კანონის მოქმედების შესახებ.

ამ კანონის მოქმედებას ლინგვისტებმა ყურადღება არასწორი სიტყვათწარმოების შესწავლისას მიაქციეს, რაც ადვილად აიხსნებოდა მოლაპარაკისათვის უკვე ნაცნობ ენობრივ ფორმებთან ანალოგიის გავლენით. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ანალოგიის პრინციპს უფრო ზოგადი ხასიათი აქვს და მაშასადამე, სწორი სიტყვათწარმოების შეთვისებისა და გამოყენების საფუძველს წარმოადგენს.

მოვიყვანოთ განწყობის მოქმედების ერთი ასეთი შემთხვევა: კ. მარბე, რომელიც თანამედროვე ფსიქოლოგიაში განწყობის ცნებას სხვებთან შედარებით მეტ ყურადღებას უთმობს, დაახლოებით შემდეგს გვიყვება: ერთმა მონადირემ, ფრინველზე ნადირობისას მინდორში მოძუშავე გოგონა შეცდომით ფრინველად აღიქვა, ესროლა მას და მოკლა. გოგონა მონადირის საბედისწერო განწყობის უნებლიე მსხვერპლი აღმოჩნდა. საკითხავია, თუ რა მიმართებაშია განწყობა მოცემულ შემთხვევასთან? ცხადია, მონადირემ გოგონას სახით ნათლად დაინახა მისთვის საინტერე-

სო ფრინველის ხატი. ნადირობის სიტუაციამ მონადირეს შეუქმნა გარკვეული განწყობა, რომელმაც განსაზღვრა მისი აღქმის შინაარსი.[10]

ის, რაც მან ფაქტობრივად დაინახა, იყო გამოწვეული ობიექტის უშუალო მოქმედებით, არამედ მდგომარეობით, რომელიც ადამიანში მოცენებული განწყობით გამოიხატებოდა. მაშასადამე, ის, რაც მან აღიქვა, ფაქტობრივად უკვე განსაზღვრული იყო მხედველობითი შთაბეჭდილების ზემოქმედებამდე.

შრომითი სიტუაციის ზემოქმედების შედეგად სუბიექტში შექმნილი მთლიან-პიროვნული მოდიფიკაცია, ფაქტობრივად ზემოთ აღნიშნული კატეგორიის მოვლენებს მიეკუთვნება. ამიტომ, ჩვენი აზრით, პირობითად მათაც განწყობის მოვლენა შეიძლება ეწოდოს. მაგრამ სავარაუდოა, რომ ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს გაცილებით უფრო ფართო ხასიათისა და პრინციპული მნიშვნელობის მოვლენასთან.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ განწყობაზე მსჯელობისას, ჩვენ მხედველობაში გვაქვს ამ სიტყვის არა ვიწრო გაგება, როგორც, მაგალითად, ყურადღების თვისებების აღწერისას, როდესაც განწყობით, ჩვეულებრივ, აღინიშნება სხეულის გარკვეული მდგომარეობა, მისი „სამუშაო პოზა", საორიენტაციო რეაქციები", რაც ორგანოს გამაღიზიანებლისადმი შესაბამისობაში, მის წარმატებით აღქმისათვის მომზადებასა და მასზე სწრაფად და ზუსტად რეაგირებაში ვლინდება. ამ შემთხვევაში კი მხედველობაში გვაქვს ე.წ. მოტორული განწყობის ცნება, რომლის მნიშვნელობის შესახებ პირველად მიუთითეს მიულერმა და შუმანმა. ჩვენთვის არც ე.წ. სენსორული განწყობის ცნებაა მისაღები, რადგანაც როგორც მოტორული, ასევე სენსორული განწყობები ზოგადი პროცესების კერძო შემთხვევებს წარმოადგენს. ექსპერიმენტულ ცდონაცემებს ჩვენ ადამიანის ქცევის განმსაზღვრელ, ზოგადი ხასიათის ცენტრალური მდგომარეობის არსებობის აუცილებლობის აღიარებამდე მივყავართ.

როდესაც შრომის პროცესში ადამიანის მთლიან-პიროვნულ მოდიფიკაციაზე ვსაუბრობთ, მხედველობაში გვაქვს სწორედ ამგვარი სახის განწყობა. მაშასადამე, განწყობა მოიცავს და განსაზღვრავს არა რომელიმე კერძო სისტემათა ჯგუფს ან კერძო სენსორულ აპარატს, არამედ მო-

---

[10] Marbe. Ueber Einstellung Umstellung. Zam Ps. 1929.

ცემული შრომითი სიტუაციის პირობებში ადამიანის მთლიან-პიროვნულ დახასიათებას ახდენს.

ამგვარად, ჩვენ ვამტკიცებთ, რომ პროფესიული შრომითი სიტუაცია, ზემოქმედებს რა გარკვეული შრომითი მზაობის [illegible] ზე, წარმოშობს მასში „განწყობის" ხასიათის მქონე მოდიფიკაციას, [illegible]-შიც „შრომითი ამოცანა" შეფარული სახით წინასწარ არის გადაწყვეტილი. ცხადია, შრომის პროცესის ფაქტიური მიმდინარეობა, წარმოადგენს რა აღნიშნული განწყობის რეალიზაციას, ამ უკანასკნელის თავისებურებით არის განპირობებული.

ასეთ შემთხვევაში გასარკვევია თუ რით შეიძლება აიხსნას ერთსა და იმავე სიტუაციაში მომუშავე სხვადასხვა ინდივიდთა განსხვავებული შრომითი წარმატებულობა.[11]

ყოველი პროფესია, როგორც შრომითი ოპერაციების გარკვეული სისტემა, გულისხმობს და მოითხოვს ზუსტად განსაზღვრულ განწყობას. მაგრამ არის კი ყოველი ადამიანი თანაბარუნარიანი ასეთი განწყობების მიმართ? ინდივიდუალური განსხვავებულობა ადამიანთა შორის იმდენად მნიშვნელოვანია, რომ დასმულ კითხვას უარყოფითი პასუხი უნდა გაეცეს. გასათვალისწინებელია, რომ ინდივიდუალური განსხვავებულობის ერთ-ერთ უდავო ფსიქოლოგიურ საფუძველს სწორედ ყოველი ჩვენგანისათვის დამახასიათებელი განწყობის თავისებურება წარმოადგენს. თუ ეს ასეა, მაშინ გასაგებია ადეკვატური განწყობით მხოლოდ ზოგიერთი ჩვენგანის რეაგირება მოცემულ შრომით სიტუაციაზე. მაშასადამე, შრომითი სიტუაციები იგივეობის მიუხედავად, მათში მომუშავე პირთა შრომითი წარმატებულობის განსხვავებულობა ეჭვს არ იწვევს.

VI

შრომის პროცესი პიროვნების ფსიქოფიზიკური ფუნქციების აუცილებელი მონაწილეობითა და აქტივობით ხორციელდება. ამასთან დაკავშირებით იბადება კითხვა: რაზეა დამოკიდებული მოცემული შრომითი პროცესისათვის აუცილებელი და საჭირო ფსიქოფიზიკური ფუნქციების ამოქმედება? რა განსაზღვრავს შრომითი ამოცანის მეტ-ნაკლები წარმატებით გადაწყვეტისათვის საჭირო და აუცილებელი ფუნქციებისა და მათი კომბინაციების გააქტიურებას?

---

[11] Добрынин Н. Ф. Введение в психологию. ст. 224.

ნახის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ის გარემოებაც, რომ მან პირველმა აჩვენა წარმოდგენებისა და ქმედებების მიმდინარეობის მხოლოდ და მხოლოდ ასოციაციური კავშირებით გაპირობებულობის უმართებულობა. მისი აზრით, ადამიანისათვის დამახასიათებლად უნდა ჩაითვალოს ქცევა დეტერმინაციის კანონის შესაბამისად, რაც არსებითად ნიშნავს სუბიექტის მიერ დასახული მიზან-ამოცანით მის წარმოდგენათა მიმდინარეობის განსაზღვრას. მაგრამ დეტერმინაციის ტენდენციის შესახებ შეხედულებაში გათვალისწინებულია ჩვენი ფსიქოფიზიკური ფუნქციების ამოცანით განპირობებულობის მხოლოდ ფაქტობრივი მხარე, უშუალოდ მოვლენის არსი კი გაურკვეველი რჩება. გაუგებარია, თუ როგორ არის შესაძლებელი მიზნის ან ამოცანის დეტერმინანტად, გამოცდილების ძალისა და ასოციაციის პროცესების ინერციულობის დაძლევის ფაქტორად გადაქცევა. ამიტომ შეხედულება დეტერმინაციის ტენდენციის შესახებ, ჩვენი აზრით, მხოლოდ პირველი ნაბიჯია, რომელსაც უნდა მოჰყვეს ადამიანის ქცევის ზოგადი საფუძვლის დადგენისა და თვით დეტერმინაციის ტენდენციის არსის გამოკვლევის შემდგომი მცდელობა.

ჩვენი აზრით, მოცემულ შემთხვევაში განწყობის ცნებას სრულიად განსაკუთრებული როლი ენიჭება.[12] განწყობის მოქმედების ზემოთ მოყვანილი შემთხვევიდან ნათელია, რომ მოცემული განწყობის არსებობის შემთხვევაში ადამიანის ფსიქოფიზიკურ ფუნქციათა გააქტიურება მთლიანად ამ განწყობითაა განსაზღვრული: მონადირე აღიქვამს გოგონას მისთვის საინტერესო – ფრინველის ხატად და ახორციელებს მის მიმართ შესაფერის ქცევას – კლავს მას.

უდავოა, რომ მოცემულ შემთხვევაში მონადირის აღქმა, მისი ემოციური განცდები, ნებელობითი აქტები და მის მიერ შესრულებული მოქმედებები, ძირითადად, განისაზღვრება მოცემულ მომენტში მისი აქტუალური განწყობით. თუ ყურადღებით დავაკვირდებით აღნიშნულ მოვლენას, ნათელი გახდება, რომ ყველა ეს ფუნქცია როგორც შინაარსობრივად, ასევე თვისობრივი გარკვეულობითაც განწყობით არის დეტერმინირებული. თუ რა ფუნქციები იქნება გააქტივებული ყოველ მოცემულ მომენტში და რა შინაარსით იქნებიან ისინი დატვირთული, ყველაფერი ეს მონადირის განწყობაზეა დამოკიდებული. ეს დამოკიდებულება იმდენად

---

[12] უფრო დეტალურად სტატიაში „განწყობის თეორიის ძირითადი დებულებები"; დ. უზნაძე და „განწყობის შეცვლის ძირითადი კანონი"; ფსიქოლოგია, 1930.

მეჭიდრო ხასიათისაა, რომ შეუძლებელია განცალკევებულად მსჯელობა არა მხოლოდ მოცემულ ფუნქციათა შინაარსსა და მათ ფორმებზე, არამედ მონადირის ქცევის აქტში გამოვლენილი მათი კომბინაციის თავისებურებებზე საუბარიც.

ყოველივე აღნიშნული ძალაში რჩება განწყობის გამოვლენის სხვა შემთხვევებისა და მაშასადამე, საერთოდ განწყობის მიმართაც. ამიტომ სწორია მარბე, როცა ის ადამიანის ფსიქიკურ ცხოვრებას განიხილავს, როგორც მისი განწყობის ფუნქციას.[13] თუმცა აუცილებლად უნდა გვახსოვდეს, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს არა მარტივ ფუნქციურ მიმართებასთან, ამ სიტყვის მათემატიკური მნიშვნელობით, არამედ ფსიქოფიზიკური ფუნქციების თვისობრივი გარკვეულობის განწყობის საშუალებით დეტერმინაციასთან.

მაშასადამე, თუ რა ფუნქციები აქტიურდება ყოველ მოცემულ შემთხვევაში, რა შინაარსს ატარებენ ისინი, როგორი იქნება მათი ქმედების მიმართულება და რა სახის კომპლექსურ მთლიანობას წარმოქმნიან — ყოველივე ეს, საბოლოო ჯამში, განისაზღვრება იმ განწყობით, რომლის მატარებელიც არის მოცემული სუბიექტი. ამიტომ ამ უკანასკნელის ფსიქოფიზიკური ძალების შესწავლის მცდელობა, მათთვის აზრის, რაოდენობრივი და თვისებრივი გარკვეულობის მომნიჭებელი განწყობისაგან იზოლირებულად იმთავითვე წარუმატებელი იქნება.

აქედან გამომდინარე, ჩვენი თვალსაზრისით, ფსიქოლოგიურ მიმართულებას, რომელიც ე.წ. „ობიექტურ" მაჩვენებლებზე დაკვირვებით ადამიანის ქცევის შესწავლას მიიჩნევს შესაძლებლად, ასევე მიმართულებას, რომელიც ამ მიმართებით სუბიექტურ განცდებს ანიჭებს უპირატესობას და ბოლოს პოზიციას, რომელიც ორივე მომენტის გაერთიანებას ეფუძნება, არ შეუძლია ადამიანის ქცევის ადეკვატური შემეცნების ამოცანის განხორციელება. ამ უკანასკნელში უნდა ვიგულისხმოთ ისეთი მთლიანობა, რომლის ანალიზით ვლინდება ამ მოვლენის საფუძვლად მიჩნეული ძირითადი განწყობა და მისი რეალიზაცია ფსიქიკურ ფუნქციებსა ობიექტურ ქმედებებში. სწორედ ამიტომ ვამტკიცებთ, რომ ქცევის ყოველი ცალკეული მომენტი იძენს რა სპეციფიკურ თვისობრივ და რაოდენობრივ გარკვეულობას მთლიანობის კომპლექსში, შეიძლება გაგებული იქნეს მხოლოდ მოცემულ სიტუაციაში პიროვნების განწყობის ერთიანი მოდი-

[13] Marbe, op cit.

ფიკაციის ყოველმხრივი შესწავლის საფუძველზე, ასევე – ქცევის სუბიექტური და ობიექტური მომენტების კომპლექსი.

ახლა დავუბრუნდეთ მოშუშავე ადამიანის შრომით ქცევაში აქტუალიზებული ფსიქოფიზიკური ფუნქციების საკითხს, [illegible] შეიძლება ჩამოყალიბდეს: რა განსაზღვრავს მოცემულ [illegible] სიტუაციაში წარმოქმნილი ამოცანის გადასაწყვეტად ორგანიზმისათვის საჭირო ფსიქოფიზიკურ ფუნქციათა კომპლექსს?

როგორც აღვნიშნეთ, შრომითი ამოცანის სახით სიტუაციის ობიექტზე ზემოქმედების შედეგად მასში, უპირველეს ყოვლისა, აღმოცენდება მთლიან პიროვნული მოდიფიკაცია, რომლის არსის გამოხატულებას განწყობა წარმოადგენს.

მაგრამ, როგორც ცნობილია, ქცევის ყოველ აქტს, იმის შემდეგ, რაც ის აღმოცენდება, აქვს დასრულების ტენდენცია (ეწინ); მაშასადამე, ობიექტურად მოცემული შრომითი სიტუაციით სტიმულირებული განწყობა არ შეიძლება დარჩეს პიროვნების პასიურ მდგომარეობად. ის უნდა საფუძვლად დაედოს პიროვნების წინაშე აღმოცენებული შრომითი ამოცანის ფაქტობრივი გადაწყვეტისათვის საჭირო ქცევისადმი ლტოლვას. ყოველივე ეს, ბუნებრივია, იწვევს პიროვნების გარკვეული ფსიქოფიზიკური ძალების მობილიზაციას, რაც წარმოადგენს მისი შრომითი საქმიანობის რეალურ შინაარსს, მაგრამ რა სახისა იქნება ეს ძალები, ეს მთლიანად დამოკიდებულია პიროვნების იმ ერთიან, მთლიან მოდიფიკაციაზე, რომლის გააქტიურებაც მოხდა მასზე მოცემული შრომითი სიტუაციის ზემოქმედების შედეგად. ცხადია, ამ შემთხვევაში ფსიქოფიზიკური ძალების გააქტიურებას ვერ ექნება შემთხვევითი ხასიათი და ამიტომ ის „ცდისა და შეცდომის" მეთოდზე არ შეიძლება იყოს დაფუძნებული. როგორც ვხედავთ, განწყობასა და პიროვნების ფსიქოფიზიკურ ძალების შორის არსებობს გარკვეული კავშირი, რაც გულისხმობს, რომ ფსიქოფიზიკური ძალები, გარკვეული აზრით, წარმოადგენს განწყობის ფუნქციას. ამიტომ შრომითი სიტუაციის ყოველ მოცემულ შემთხვევაში პიროვნება გააააქტიურებს მხოლოდ იმ საკუთარ ფსიქოფიზიკურ ძალებს, რომლებიც განპირობებული არიან განწყობის თავისებურებებით და წარმოადგენენ ამ უკანასკნელის რეალიზაციის ყველაზე ეფექტურ საშუალებებს.

თანამედროვე ფსიქოლოგებიდან განწყობის ცნებას, სხვებთან შედარებით, მნიშვნელოვან ადგილს კ. მარბე უთმობს. იგი განიხილავს მას პროფესიული ვარგისიანობის პრობლემებთან მიმართებაში. მარბეს მიაჩნდა, რომ ზოგიერთ პროფესიაში ერთი განწყობიდან მეორეზე გადანაცვ-

ლება გადამწყვეტი მნიშვნელობის მატარებელია (მსტეეტუნგ). ცხადია, რომ ამ შემთხვევაში მას მხედველობაში აქვს არა მოცემული შრომითი სიტუაციის ინდივიდუალური სტრუქტურის ამსახველი ძირითადი განწყობა, ანუ პროფესია, რომელსაც შეიძლება ეფუძნებოდეს პიროვნების სტრუქტურის თავისებურებაც, არამედ ის კერძო შემთხვევები, რომლებიც მოითხოვენ პიროვნების ქცევის ხან ერთი, ხან მეორე მიმართულებით წარმართვას. საქმე ის არის, რომ ამ შემთხვევაშიც ძალაში რჩება ჩვენი პირვანდელი პრობლემა: რა არის ძველი განწყობის ახლით შეცვლის განმსაზღვრელი? რას ეფუძნება მათი შეცვლა? როგორ ხდება, რომ ერთი განწყობა იცვლება სწორედ ისეთი მეორე განწყობით, რომლითაც უზრუნველყოფილია ადამიანის ქცევის სისწორე და მიზანშეწონილობა? საკმარისია ამ კითხვების დასმა, რომ ნათელი გახდეს კ. მარბეს მიერ შემოტანილი განწყობის გადანაცვლების ცნების პრინციპულად იმავე სიბრტყეში არსებობა, რომელშიც ცალკეული ფსიქოფიზიკური ფუნქციების ცნებაა მოაზრებული. ამიტომ უნდა ვაღიაროთ, რომ მარბეს მიერ გადანაცვლების ცნების შემოტანით სულაც არ გაადვილებულა ჩვენთვის საინტერესო ძირითადი პრობლემების გადაწყვეტა. ცხადია, ზოგიერთი პროფესიისათვის ასეთი გადანაცვლება ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ ეს შესაძლებელია მხოლოდ ძირითადი განწყობის როგორც ერთი „განწყობის" მეორეთი ჩანაცვლების რეგულაციის საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, ზუსტად ისე, როგორც ეს ხორციელდება შრომითი ამოცანის გადაწყვეტისას პიროვნების ფსიქოფიზიკურ ფუნქციათა თანმიმდევრობის ცვლილებისას.

VII

არსებობს კიდევ ერთი საკითხი, რომელზეც მოკლედ უნდა შევჩერდეთ. კერძოდ, როგორ უნდა აიხსნას ის, რომ პიროვნების მთლიანი მოდიფიკაცია არ არის საკმარისი მის საფუძველზე საჭირო შრომითი მოქმედებების გამოსავლენად? როგორ უნდა გავიგოთ ის, რომ შრომითი აქტების შესასრულებლად პიროვნების მთლიანი მოდიფიკაცია საჭიროებს ფსიქიკის დანაწევრებას ცალკეულ ფუნქციებად? ერთი სიტყვით, ჩვენს წინაშე დგება გენეტიკური ფსიქოლოგიის ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა, რომელიც, ადამიანის ფილოგენეტურ განვითარებასთან ერთად, ეხება მისი ფსიქიკის პროგრესულად დიფერენცირების ახსნას.

ვფიქრობ, ამ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება შრომას, ვინაიდან შრომის პროცესში ადამიანს საქმე აქვს მატერიალურ საგანთან, რომელსაც ის, გამომდინარე დასაკმაყოფილებელი მოთხოვნილების თავისებურებიდან, გარდაქმნის მზა პროდუქტად, პროდუქციის ჩამოყალიბება კი შესაძლებელია მოცემული მასალის დანაწევრება – ანალიზით, ან ნაწილების გაერთიანება – სინთეზირებით. ანალიზისა და სინთეზის ორივე საშუალების გამოყენება გაპირობებულია დასამუშავებელი მასალის მატერიალურობით. მაგრამ საგნობრივი მასალის დანაწევრება – გამოვლინება, გარკვეული აზრით, მექანიკური ხასიათის პროცესს წარმოადგენს. მაშასადამე მთლიან-პიროვნული შრომითი განწყობა, რომელშიც სამუშაო ამოცანა წინასწარვეა გადაწყვეტილი, მისი ფაქტობრივი რეალიზაციის პროცესში აუცილებლად იწვევს ცალკეულ ფუნქციათა გააქტიურებას. პიროვნების მთლიანი მოდიფიკაცია, უკავშირდება რა შრომის პროცესში მექანიკური ბუნების მქონე მასალას, იძულებული ხდება, გამოავლინოს მასში არსებული შესაფერისი ტენდენციები. ამ პროცესში არსებით მნიშვნელობას იძენს შრომის იარაღი, რომელიც როგორც მატერიალური საგანი, ადამიანისათვის საშუალო ობიექტზე ადეკვატური ზემოქმედების საშუალებას წარმოადგენს. შრომის ობიექტზე ზემოქმედების პროცესში ადრე აღმოცენებული მთლიანობა, როგორც ტენდენცია, ნაწევრდება ცალკეულ მომენტებად, რაც განსაზღვრულია ობიექტზე ზემოქმედებისას გამოვლენილი თავისებურებებით. ამგვარად, უნდა ვივარაუდოთ, რომ ადამიანის ფსიქიკის დიფერენციაცია შრომის პირობებში მისი ფილოგენეტური განვითარების პროდუქტს წარმოადგენს.

მაგრამ ფუნქციათა ამგვარად წარმოქმნილი მრავალსახეობა სულაც არ ნიშნავს პიროვნების სრულ დანაწევრებას და ატომიზაციას, ვინაიდან ძალაში რჩება მთლიანობითი მოდიფიკაცია, როგორც ფსიქოფიზიკური ფუნქციათა და ორგანული მთლიანობის საფუძველი ყოველ მოცემულ მომენტში.

VIII

თუმცა დავუბრუნდეთ ჩვენს ძირითად პრობლემას! უკვე ვნახეთ, რომ პიროვნების შრომითი ქცევის ჭეშმარიტი საფუძველი მის შრომით განწყობაშია მოცემული. ასევე გაირკვა, რომ შრომის პროცესში გააქტიურებული ცალკეული ფსიქოფიზიკური ძალები წარმოადგენს, გარკვეული აზრით, ამ განწყობების „ფუნქციებს". აქედან გამომდინარე, ადამიანის

პროფვარგისიანობის საფუძველია მოცემული პროფესიული ქცევისადმი ადეკვატური განწყობის გააქტიურების უნარიანობა. მაგრამ ხომ არ ნიშნავს ეს პროფესიოგრაფიის ამოცანის შემოფარგვლას მოცემული პროფესიისადმი შესატყვისი განწყობის შესწავლით და უარის თქმას შესასწავლი პროფესიული შრომის პროცესში გააქტიურებულ ფსიქოფიზიკურ ფუნქციათა ანალიზზე?

თუ მართებულია ჩვენი თვალსაზრისი შრომის ფსიქოლოგიური ბუნების შესახებ, მაშინ, ცხადია, პროფესიოგრაფიის ძირითადი ამოცანა მართლაც უნდა შემოიფარგლოს პროფესიული განწყობის შესწავლით. მაგრამ, ფსიქოლოგიური მეცნიერების თანამედროვე მდგომარეობიდან გამომდინარე, განსაკუთრებულ მიღწევებს ამ მიმართულებით არ უნდა მოველოდეთ, თუმცა, ცხადია, ეს არ ნიშნავს ჩვენი მეცნიერების განვითარების მოცემულ ეტაპზე მუშაობის შეწყვეტას. დაკვირვებისა და ე.წ. შრომითი მეთოდის გამოყენებით ამჟამადაც კი შეიძლება შესასწავლი პროფესიის განწყობის ისეთ დონეზე დახასიათება, რომ მასზე ორიენტაციით შესაძლებელი გახდეს პროფვარგისიანობის შემოწმების კომპლექსური მეთოდიკის შემუშავება. უნდა ითქვას, რომ პროფვარგისიანობის შემოწმების კომპლექსური მეთოდიკის ანალიტიკურთან შედარებით უპირატესობის თეორიული დასაბუთება პირველად პროფესიული შრომის ფსიქოლოგიური თავისებურებების ჩვენ მიერ წარმოდგენილი დახასიათების საფუძველზე გახდა შესაძლებელი.[14]

ცალკეულ ფუნქციათა შესწავლა აუცილებელია პროფესიოგრაფიებით გამოვლენილი სპეციფიკური განწყობის საფუძველზე პროფვარგისიანობის დადგენის კომპლექსური მეთოდიკის შესამუშავებლად განწყობით აქტივიზებულ ფუნქციათა დიფერენცირებული მონაცემების მოპოვებისთვისაც. ამ მონაცემების გარეშე, მაშინაც კი, თუკი პროფესიული განწყობის დეტალური დახასიათების შესაძლებლობა გვექნებოდა მაინც ვერ გავთავისუფლდებოდით ჩვენთვის საინტერესო პროფესიისათვის დამახასიათებელ ფსიქოფიზიკურ ნიშანთა ანალიზის აუცილებლობისაგან. მართალია ფსიქოფიზიკურ ნიშანთა გააქტიურება დამოკიდებულია მათ საფუძვლად აღიარებულ განწყობის მთლიან პიროვნულ მოდიფიკაციაზე, მაგრამ ასეთი განწყობის არსებობა ყოველთვის არ წარმოადგენს შესატყვისი ფსიქოფიზიკური ფუნქციების არსებობის გარანტიას. აღნიშნული მოსაზ-

---

[14] ონტოგენეტურ ჭრილში განვითარების იმავე მიმართულებით მიმდინარეობის შესახებ. პედოლოგია. ტ. I. 1933.

რების სისწორეში დასარწმუნებლად საკმარისია გავიხსენოთ ფსიქიკურ ფუნქციათა განვითარების შეზღუდული შემთხვევები ან სხვა სახის სენსორული დეფექტები. აღნიშნული მოსაზრების სისწორეში რომ დავრწმუნდეთ ასეთ დროს არ არის გამორიცხული ინდივიდის პროფესიული განწყობის უნარის შესაძლებლობა, მაგრამ ეს ხომ არ არის საკმარისი ფსიქიკურ ფუნქციებში არსებული დეფექტების გამოსასწორებლად! მართალია, განწყობა უბიძგებს სუბიექტს შეზღუდული სენსორული და სხვა ფუნქციების დეფექტების გასაუმჯობესებლად კომპენსატორული მექანიზმების ამოქმედებისაკენ და ხშირ შემთხვევაში ამგვარი მცდელობა წარმატებითაც მთავრდება, მაგრამ დეფექტის სრული ლიკვიდაცია ფაქტობრივად შეუძლებელია. ამდენად ფსიქოფიზიკურ ფუნქციათა დარღვევების მქონე ინდივიდი არ შეიძლება ნორმალური განვითარების ფსიქოფიზიკური ფუნქციებისა და განწყობის მქონე ადამიანის ტოლფასად შეფასდეს. ამ პირობების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა შესაბამისი კომპლექსური მეთოდის აგება, ვინაიდან არ გვექნებოდა განწყობის ზემოქმედების შედეგად წარმოქმნილი მასალა.

მაშასადამე, პროფესიის ფსიქოლოგიური ანალიზი ცალკეული ფსიქიკური ფუნქციების პოზიციიდან რჩება პროფესიოგრაფიის ერთ-ერთ ძირითად და აუცილებელ ამოცანად. მაგრამ იბადება კითხვა, თუ რა მოცულობით უნდა ჩატარდეს ეს ანალიზი და რამდენად ეხება ის მოცემულ პროფესიულ შრომაში ჩართულ ყველა ფსიქიკურ პროცესსა და ოპერაციას?

ათასობით ადამიანს აქვს ვაჭრობის უნარ-შესაძლებლობა. ფსიქოტექნიკოსთა VII საერთაშორისო კონფერენციაზე ლ. ე. მირა პროფვარგისიანობის ფსიქოფიზიკური ფაქტორების აღწერისას აღნიშნავდა: „თუ ვინმე დაინტერესდებოდა კომივოიაჟორის პროფესიისადმი პიროვნების შესატყვისობის გამორკვევით და ამ მიზნით გაეცნობოდა ლიპმან-ულრიხის კითხვარის მსგავს მეთოდურ საშუალებას, ის უსათუოდ გაკვირვებული დარჩებოდა, როცა გაიგებდა, რომ პროფესიონალ გამყიდველს აუცილებლად უნდა ჰქონდეს ასზე მეტი უნარ-მონაცემი. ის დაფიქრდებოდა იმაზე, რომ ამ მეთოდიკით ყოველ ქვეყანაში, კომივოიაჟორის საქმოსნობის შესრულების უნარიანი მხოლოდ ერთი ან ორი პიროვნება აღმოჩნდებოდა."[15] მაგრამ რეალურად სულ სხვა მდგომარეობაა. და ეს სრული სიმართლეა. თუ გავაანალიზებთ ნებისმიერ პროფესიას, თუნდაც ლიპმა-

[15] ფსიქოტექნიკოსთა VII საერთაშორისო კონფერენციის მასალები.

ნის კითხვარით, ვნახავთ, რომ მასში არაფერია გასაკვირი. საქმე ისაა, რომ პიროვნება, როგორც ცნობილია, იზოლირებულად მოქმედ ფუნქციათა კრებადობა არ არის და მარტივი ოპერაციის შესრულებაშიც კი, ჩართულია როგორც ერთიანი ფსიქოფიზიკური მთლიანობა. ამიტომ ოპერაციათა დეტალური ანალიზით ყოველთვის იქნება შესაძლებელი მასში ცალკეულ ფუნქციათა კონსტატირება. თუმცა, აქედან გამომდინარე, პროფესიულად მნიშვნელოვან თვისებათა ანალიზისას, ხომ არ იქნება მიზანშეწონილი, ამოსავალ წერტილად, განწყობის სანაცვლოდ, მთლიან – პიროვნული თვალსაზრისის აღება? ეს მით უმეტეს საყურადღებოა, რომ შემოწმების ფსიქოტექნიკური მეთოდის საფუძვლად, როგორც ვნახეთ, უნდა მოვიაზროთ მოცემული პროფესიისადმი ადეკვატური განწყობის, ე.ი. მთლიან-პიროვნული მოდიფიკაციისადმი ცდისპირის უნარიანობა, რომლის ბაზაზეც ხდება მის ცალკეულ ფსიქიკურ ფუნქციათა გააქტიურება.

მაგრამ რას ნიშნავს ეს უფრო კონკრეტულად? უნდა ვიგულისხმოთ, რომ ყოველი პროფესიის დომინანტური მომენტი იმავდროულად არის ამ პროფესიის სპეციფიკური განწყობისა და მისი ძირითადი, არსებითი ბუნების გამომვლენიც. პროფესიოგრაფიამ ყურადღება უნდა გაამახვილოს სწორედ ამ მომენტის გამოვლენაზე, ვინაიდან იგი საგანგებოდ ინტერესდება შესასწავლი პროფესიის განწყობის თავისებურებით. ასევე ამ დომინანტურ მომენტთან დაკავშირებულ და მოცემული პროფესიისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ცალკეულ ფსიქიკურ ფუნქციათა გამოვლენითაც.

ნათელია, რომ დომინირებული მომენტი ვლინდება პროფესიული შრომის ისეთ პერიოდებში, რომლებსაც შეიძლება კრიტიკული ეწოდოს. ამ უკანასკნელში უნდა ვიგულისხმოთ პროფესიული მუშაობის ისეთი მომენტები, როდესაც მოძრაობათა შესრულების ერთხელ შეთვისებული თანმიმდევრობა საკმარისი არ არის და მომუშავე იძულებულია შეიმუშავოს მათი ახალი კომბინაცია. მოცემული პროფესიისადმი ადამიანის ნამდვილი შესატყვისობა იზომება მის მიერ კრიტიკული მომენტების დაძლევის უნარიანობით. შრომითი მოძრაობების, ე. ი. პროფესიული შრომის შინაარსების ათვისება-ავტომატიზირება პროფესიონალის სწავლებისა და ვარჯიშის შედეგად შედარებით იოლია და ამდენად მომუშავისაგან არ მოითხოვს განსაკუთრებულ უნარ-შესაძლებლობებს. შრომითი მოქმედება – ოპერაციების ათვისება განსაკუთრებით იოლია კრიტიკული მომენტების დაძლევის უნარის მქონე პროფესიონალისათვის. მაგრამ კრიტიკული

მომენტების დაძლევის უნარმოკლებულ ადამიანებს შრომითი ოპერაციების შესრულება საგრძნობლად უძნელდებათ და მათთვის მხოლოდ ვარჯიშისა და სწავლის გზით წარმატების მიღწევა, მითუმეტეს ავტომატიზება შეუძლებელიცაა. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია პროფესიის სტრუქტურისადმი ადეკვატურ განწყობასთან ერთად ამ განწყობის საფუძველზე გააქტიურებული ნორმალურად განვითარებული ფსიქოფიზიკური ძალების არსებობა.

პროფესიის ფსიქოლოგიური ანალიზი, რომელიც პროფშერჩევისა და პროფორიენტაციის შესწავლას ისახავს მიზნად, ჩვენი თვალსაზრისით კონცენტრირებული უნდა იქნეს პროფესიის კრიტიკული მომენტებისა და მათ დასაძლევად მიმართულ ფსიქოფიზიკურ ფუნქციატა შესწავლაზე.

ჩვენ ამჟამად ვერ შევჩერდებით პროფესიის ფსიქოლოგიის სხვა პრობლემებზე. ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია დასკვნის სახით ჩამოვაყალიბოთ ის ძირითადი დებულებები, რომლებსაც ჩვენი შეხედულებით, შემდგომ პროფესიოგრაფიული მუშაობა უნდა დაეფუძნოს:

1. პროფესიის ფსიქოლოგიური შესწავლა უნდა წარიმართოს ისე, რომ მისი რეკონსტრუქციისას შესაძლებელი იყოს მეცნიერულად დასაბუთებული რაციონალური და ოპტიმალური შესაბამისობის მიღწევა პროფესიისა და პიროვნების ფსიქოფიზიკური სტრუქტურის თავისებურებებისადმი;

2. პროფესიის ფსიქოლოგიური შესწავლა მიზნად უნდა ისახავდეს პროფესიული შრომის შესასწავლ სახეობათა პოლიტექნიკურ-საგანმანათლებლო მნიშვნელობის დადგენას;

3. პროფესიის შესწავლით უნდა მოხდეს პროფესიის უმთავრესი ერთიანი, მთლიანი სტრუქტურის, ანუ მოცემული პროფესიის სპეციფიკური განწყობის გამოვლენა;

4. ყურადღება უნდა გამახვილდეს პროფესიის კრიტიკული მომენტების აღმოჩენა-დახასიათებასა და პროფესიული განწყობის საფუძველზე გააქტიურებული ძირითადი ფსიქიკური ფუნქციების დეტალურ ანალიზზე.

ტიფლისი
1931

F 110/2,10
ეროვნული
ბიბლიოთეკა